ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი დანელია

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გავლენა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ურთიერთობაზე (მარნეულის მუნიციპალიტეტი)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2021

ანოტაცია

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი რომელიც სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის არსებული დაპირისპირების ქვაკუთხედია, კავკასიის რეგიონში არსებულ კონფლიქტებს შორის ერთ-ერთი უმთავრეს კონფლიქტს წარმოადგენს. ეთნოკონფლიქტი რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა საბჭითა კავშირის მმართველობის დასასრულს კვლავ გაღვივდა და მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დღემდე კავკასიის რეგიონის ყველაზე ცხელ კონფლიქტში გადაიზარდა. მთიანი ყარაბაღის სახელით ცნობილი ეს ეთნოკონფლიქტი შეეხო როგორც მთიან ყარაბაღს ასევე საქართველოს საზღვართან ახლოს არსებულ იმ რეგიონებს რომელიც უშუალოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლზე მდებარეობს.

ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიოთ საქართველოში, კერძოდ ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასებული სომხურ, აზერბაიჯანულ და შერეულ ეთნიკურ სოფლებში მცხოვრები სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეთა დამოკიდებულება/ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ მთიანი ყარაბაღისკონფლიქტის ფონზე.

ქვემო ქართლის რეგიონის, მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 91% ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს. ზემოთხესენბულ რაიონში უმარავლესობა ეთნიკურად აზერბაიჯანელი (83.1%) ცხოვრობს მეორე ადგილზე კი ეთნიკურად სომეხი(7%) მოსახლეობა დგას. მათი თანაცხოვრების ისტორია, ამ კონკრეტულ რეგიონში საუკუნეებს ითვლის და შეგვიძლია ვთქვათ რომ ისინი საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები არიან.

საბჭოთა კავშირის ბოლო წლებიდან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი უფრო და უფრო გამძაფრდა რომელიც შემდეგ ფართომაშტაბიან ომში გადაიზარდა. ქვემო ქართლის ეს რეგიონი კი რომლიც , მჭიდროდ დასახლებულია ეთნიკურად სომხური და აზერბაიჯანულიე წარმომადგენლებით, მშვიდობის ბუფერად იქცა. აქ მცხოვრები მოსასლეობა ემოციურად უყურებდა ყარაბაღში განვითარებულ მოვლენებს მაგრამ

ჰარმონიულად და მშვიდად თანაცხოვრობდა ყველაზე დაძაბულ ექსესებით დატვირთულ პერიოდშიც კი.

ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვებია: რამ გამოიწვია 2020 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი? როგორ ვითარება იყო მარნეულის რეგიონში 2020 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პარალელურად? რამ განაპირობა მარნეულის რეგიონში სომხების და აზერბაიჯანელების მშვიდობიანი თანაცხოვრება? როგორია ურთიერთდამოკიდებულება ეთნიკურ სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის?

Annotation

The Nagorno-Karabakh conflict, which is the cornerstone of the conflict between the Armenian and Azerbaijani peoples, is one of the main conflicts in the Caucasus region. The ethno-conflict that still existed in the first half of the last century resurfaced at the end of the Soviet Union and has escalated into the hottest conflict in the Caucasus region since the last decade of the twentieth century. Known as Nagorno-Karabakh, this ethno-conflict affected both Nagorno-Karabakh and the regions near the Georgian border directly on the border between Armenia and Azerbaijan.

The aim of the paper is to investigate the attitudes / relations of Armenian and Azerbaijani citizens living in the Armenian, Azerbaijani and mixed ethnic villages in Georgia, in particular in the Marneuli municipality of Kvemo Kartli region, against the background of the Nagorno-Karabakh conflict.

91% of the population in Kvemo Kartli region, Marneuli municipality is an ethnic minority. The majority of the above-mentioned district is inhabited by ethnic Azerbaijanis (83.1%), followed by ethnic Armenians (7%). The history of their cohabitation in this particular region dates back centuries and we can say that they are full citizens of Georgia.

Since the last years of the Soviet Union, the Nagorno-Karabakh conflict has intensified and escalated into a full-scale war. This region of Kvemo Kartli, which is densely populated with ethnic Armenians and Azerbaijanis, has become a buffer of peace. The people living here were emotionally watching the events in Karabakh but coexisted harmoniously and peacefully even in the period loaded with the most tense excesses.

The main research questions of the paper are: What caused the 2020 Nagorno-Karabakh conflict? How was the situation in the Marneuli region in parallel with the 2020 Nagorno-Karabakh conflict? What contributed to the peaceful coexistence of Armenians and Azerbaijanis in the region? What is the relationship between the ethnic Armenian and Azerbaijani populations?

სარჩევი

შესავალი ….....7

ლიტერატურის მიმოხილვა.....8

თავი I: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი….....**Error! Bookmark not defined.**.....10

1.1 მთიანი ყარაბაღის ომი 1991-1994.....10

1.2 მთიანი ყარაბაღის ომი 2020.....18

1.3 კოლექტიური მეხსიერების როლი ყარაბაღის კონფლიქტში.....34

თავი II :მარნეულში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე.....52

2.1მარნეული - გეოგრაფია და ეთნიკური შემადგენლობა..... 52

2.2 მარნეული - ეთნიკურად სომეხი და აზრბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულება.....57

დასკვნა.....64

ბიბლიოგრაფია.....66

შესავალი

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი რომელიც სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის არსებული დაპირისპირების ქვაკუთხედია, კავკასიის რეგიონში არსებულ კონფლიქტებს შორის ერთ-ერთ უმთავრეს კონფლიქტს წარმოადგენს. ეთნოკონფლიქტი რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა, საბჭითა კავშირის მმართველობის დასასრულს კვლავ გაღვივდა და მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან დღემდე კავკასიის რეგიონის ყველაზე ცხელ კონფლიქტში გადაიზარდა. მთიანი ყარაბაღის სახელით ცნობილი ეს ეთნოკონფლიქტი შეეხო

როგორც მთიან ყარაბაღს ასევე საქართველოს საზღვართან ახლოს არსებულ იმ რეგიონებს რომელიც უშუალოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლზე მდებარეობს.

ქვემო ქართლის რეგიონის, მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 88% ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს. ზემოთხესენბულ რაიონში უმარავლეოსობა აზერბაიჯანელი ცხოვრობს მეორე ადგილზე კი სომხური მოსახლეობა დგას. მათი თანაცხოვრების ისტორია საუკუნეებს ითვლის და შეგვიძლია ვთქვათ რომ ისინი საქართველოს სრულფასოვანი შვილები არიან.

საბჭოთა კავშირის ბოლო წლებიდან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი უფრო და უფრო გამძაფრდა რომელიც შემდეგ ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ქვემო ქართლის ეს რეგიონი კი რომლიც მოსაზღვრეა სომხეთის და აზერბაიჯანის, მჭიდროს დასახლებულია ამ ეთნიკური მოსახლეობის წარმომადგენლებით, მშვიდობის ბუფერად იქცა. აქ მცხოვრები მოსახლეობა ემოციურად უყურებდა იქ განვითარებულ მოვლენებს მაგრამ ჰარმონიულად და მშვიდად თანაცხოვრობდა ყველაზე დაძაბული ექსესებით დატვირთულ პერიოდში.

ლიტერატურის მიმოხილვა

მნიშვნელოვანია რომ ყარაბაღის პირველი და მეორე ომები ასევე შუალედურ პერიოდში არსებული კონფლიქტების, ასევე მცირემასშტაბიანი შეტაკებების ფესვები ისტორიის სიღრმეებში ვეძებოთ, და მხოლოდ მისი ზედაპირული ხასიათი არ მივიჩნიოთ ამოსავალ წერტილად, როცა ამ კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე ვსაუბრობთ. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა კონფლიქტებმა საქართველოში (მარნეულის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ურთიერთობაზე.

აღნიშნული საკითხის შესახებ არაერთი ავტორი საუბრობს და აღნიშნავენ მეხსიერების გავლენას კონფლიქტზე. ვაგონერი და ბრესკო თავიანთ სტატიაში: „კონფლიქტი და მეხსიერება: წარსული აწმყოში“აღნიშნავენ, რომ ხშირად, კონფლიქტი და მეხსიერება არის მონეტის ორი მხარე. ერთი მხრივ, კონფლიქტი ღრმად ტოვებს კვალს როგორც ინდივიდის, ასევე კოლექტივების მეხსიერებაზე, რომელიც ხელს უშლის სამომავლოდ შერიგებას და მეორე მხრივ, ბევრი კონფლიქტის უკან სწორედ მეხსიერებაა, ძირითადად წარსულიდან დრამატული ეპიზოდების გახსენება, წარსულის აწმყოში გადმოტანა თავისი ნაიარევებით, უკმაყოფილებით, შურისძიებისა და სიძულვილის გრძნობებით. (Wagoner and Brescó 2016).

საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამის ხელმძღვანელი ლაშა ძებისაშვილი აღნიშნავს რომ, ომი ყარაბაღში და გამოხმაურება ჩვენს ეთნიკურ უმცირესობებში არა იმდენად ყარაბაღის და სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის პრობლემაა, რამდენადაც ჩვენი სახელმწიფოებრივი პრობლემაა. ის, თუ რამდენად რეაგირებს ჩვენი ეთნიკური უმცირესობები მიმდინარე კონფლიქტზე მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად სუსტია ჩვენი სახელმწიფო ამ ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში, რამდენად არაა დასრულებული ამ ეთნიკური ჯგუფების სრული ინტეგრირება ქართულ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სივრცეში და რამდენად არ განიხილავენ ისინი საკუთარ თავს საქართველოს მოქალაქეებად. ანუ, იდეალურ ვარიანტში, თუ ეთნიკური უმცირესობა მჭიდროდ და სრულიადაა ინტეგრირებული საქართველოს სახელმწიფოს კულტურულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში, მისთვის ომი, თუ რა ხდება ყარაბაღში, ძირეულ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ის უნდა ფიქრობდეს, თუ რა ხდება მის ქვეყანაში და არა სხვა ქვეყანაში. ამიტომ, ჩემი გადმოსახედიდან, ის თუ რა მწარედ რეაგირებს ეთნიკური უმცირესობა იქ მიმდინარე ომზე, პირდაპირ მიანიშნებს იმაზე თუ რამდენადაა ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში. ეს არის კიდევ ერთი მკაფიო გამოძახილი იმისა თუ რა პრობლემები გაგვაჩნია ჩვენ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით“.

გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული ნაშრომის საკვლევ თემაზე არ არის ჩატარებული ბევრი კვლევა, ამ მხრიც ლიტერატურაც საკმაოდ მწირია. ამიტომ

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში, დავადგენთ კავშირს და დამოკიდებულებას, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტსა და მარნეულში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს შორის. საინტერესოა თუ რა გავლენას ახდენს კომფლიქტი საქართველოში, კონკრეტულად კი მარნეულში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე.

თავი I

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

1.1 მთიანი ყარაბაღის ომი 1991-1994

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონფლიქტს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კავკასიის გეოპოლიტიკურ პროცესებზე.

ზემოთაღნიშნული კონფლიქტის წარმოშვობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს დეტალური აღწერა საკმაოდ შორს წაგვიყვანს ამიტომ განხილვას დავიწყებთ იმ პერიოდიდან როდიდანაც ვითარება ყველაზე მეტად გამწვავდა და პიკს მიაღწია.

1920-21წწ. ახალშექმნილმა საბჭოთა იმპერიამ დაიპყრო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკები.1923 წელს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, საბჭოთა სოციალური სომხეთის საზღვართან ჩამოყალიბდა მთიანი ყარაბაღის ავტონომია,ცენტრი მდებარეობდა ხანკენდში (მოგვიანებით სტფანაკერტში). გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მთიანი ყარაბაღში მოსახლეობის უმრავლესობას (94.4%) ეთნიკურად სომხები შეადგენდნენ.

(მალაშხია 2011: 183)

1920-იან წლების დასაწყისიდანვე მთიან ყარაბაღში ვითრება იძაბებოდა ეთნიკური კუთხით, აღსანიშნი ამბავია ისიც, საბჭოთა რუსეთი ამ გარემოებით სარგებლობდა და ხელსაც კი უწყობდა ვითარების დაძაბვას.

1921 წლის 5 ივლისში კავკასიის ბიურომ მთიანი ყარაბაღი დატოვა აზერბაიჯანის სსრ-ის ფარგლებში და მას მიანიჭა ავტონომიის სტატუსი, რომლის ცენტრიც გახლდათ ქალაქი შუშა. მიღებულ დადგენილებას არ დაეთანხმა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

1936 წელს, ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, საბოლოო სახით, საზღვრებითა და სახელით მივიღეთ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი.

1988 წელს, 20 თებერვალს, მთიანი ყაბარაღის ავტონომიური ოლქის უმაღლესმა საბჭომ სსრკ-ის, სომხეთისა და აზერბაიჯანის უმაღლეს საბჭოებს მიმართა, რომ მთიანი ყარაბაღის ტერიტორია შეერთებოდა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას. ეს პასუხი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ შეფასდა ექსტრემისტებისა და ნაციონალისტების მიერ დაგეგმილ მოქმედებად, რასაც გადაიზარდა მასშტაბურ დემონსტრაციებში ქალაქ ერევანში და ამ ითრებას მოჰყვა „ყარაბაღის კომიტეტის“ დაფუძნება. 1988 წელს, 24 თებერვალს, მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სომხები და აზერბაიჯანელები,დაშავებულთა შორის იყო 50

სომეხი. ეთნიკურად სომეხმა სამართალდამცავებმა მოკლეს ორი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა. ამ ფაქტს 27 თებერვალს ქალაქ სუმგაითის ამბებიც დაერთო, დაარბიეს ეთნიკურად სომეხიმოსახლეობა, ოფიციალური მონაცემებით გარდაიცვალა 26 სომეხი და 6 აზერბაიჯანელი მოქალაქე. (მალაშხია 2011: 184).

ამ ამბების საპასუხოდ, 1988 წლის 15 ივნისს სომხეთის საბჭოთა უმაღლესმა საბჭო დაეთანხმა მთიანი ყარაბაღის მოთხოვნას და მიმართა საბჭოთა სოციალუსტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს რომ მათაც იგივე მოემოქმედებინათ.(მთიანი ყარაბაღი ჩამოშორებოდა აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას დშემადგენლობიდან და შეერთებპოდა სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკას).

1989 წლის 12 იანვარს, საბჭოთა სოციალისტურირესპუბლიკების კავშირის-უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩამოაყალიბა „მთიანი ყაბარაღის მართვის განსაკუთრებული კომიტეტი“ და ამ ტერიტორიაზე შემოიღო პირდაპირი მმართველობა, რომელიც ძალიან მალე, ნოემბერში გააუქმა. 1989 წლის ზაფხულში, აზერბაიჯანში, კერძოდ ბაქოში ჩატარდა მასობრივი აქციები მთიანი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით და დაფუძნდა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი.

საბჭოთა კავშირის ბოლო გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ 1989 წელს სომხები მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის 77%-ს წარმოადგენენ, აზერბაიჯანელები კი - 22%-ს. გასათვალისწინებელია ისიც რომ მთიანი ყარაბაღის მიმდებარედ შვიდ რაიონში მოსახლეობის 95% აზერბაიჯანელი იყო. მიუხედავათ ეთინიკური შემადგენლობისა, სომხები და აზერბაიჯანელები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირის პერიოდში. ვითარება გამწვავდა და დაიძაბა 1990-იან წლებში, როდესაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაშლას იწყებდა. სომხეთი აცხადებდა პრეტენზიას აზერბაიჯანის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიებზე, რაც გადაიზარდა ეთნიკური დაძაბულობის მატებაში და კონფლიქტებში აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის.

1989 წელს 28 ნოემბერს სსრკ-ის უმაღლესი საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება რომ მთიანი ყარაბაღი დარჩა აზერბაიჯანის შემადგენლობაში, ამ გადაწყვეტილებმ

შემდგომში ვითარება რეგიონში უკიდურესად გაამწვავა და დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირებები.

1991 წლის 23 ნოემბერს, აზერბაიჯანი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, აზერბაიჯანის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, თუმცა, სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ არც ცნო კანონიერად აღნიშნული ქმედება.

1992 წელს აზერბაიჯანელლებსა და სომხებს შორის დაიწყო სრულმასშტაბიანი ომი.

1992 წლის 27 თებერვალს სომხური შენაერთები შევიდნენ ზერბაიჯანულ ქალაქ ხოჯალიში და მოაწყვეს მასშტაბური ხოცვა-ჟლეტა, სხვადასხვა მონაცემებით სომხებმა დახოცეს 600-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე. (მალაშხია 2011: 188)

ზემოთ აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო დაამძიმა ეთნიკურად სომხების მიერ აზერბაიჯანული მოსახლეობის სიძულვილი. მოსახლეობის ყველა ფენა ჩაება კონფლიქტში, რომლიც ხასიათებოდა ეთნიკური დაპირისპირებით.

1992 წლის 16 მაისს სომხეთი დსთ-ის წევრი გახდა, ამან ხელი გაუხსნა და საშუალება მისცა სომხურ სამხედრო ნაწილებს მოეპოვებინათ კონფლიქტში წარმატება და აეღოთ ქალაქი შუშა და სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელი სამხრეთის დერეფანი „ლაჩინის დერეფანი“.სომხების სამხედრო ძალებმა ასევე დაიკავეს აგდამის, ქუბალთისა და ფიზულის რაიონებიც.

1993-1994წწ. დეკემბერ-იანვარში აზერბაიჯანულმა ჯარებმა ახალი შეტევა დაიწყეს, მაგრამ წარმატებას დიდხანს ვერ ინარჩუნებდნენ და მალევე ისევ თმობდნენ დაკავებულ ტერიტორიებს.

1994 წელს ეთიკურად აზერბაიჯანელები გაძევებეს ტერიტორიიდან, მთიანი ყარაბაღი კი სომხურ რეგიონად იქცა. კონფლიქტიდან მალევე ცოტა ხნის კერძოდ, 1992 წლის 24 მარტს ეუთომ 11 ქვეყნისგან ჩამოაყალიბა მინსკის ჯგუფი, რომლის მთავარ მიზანი იყო კონფლიქტის დასრულება, მოგვარება.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების პირველი ინიციატორი გახლდათ ირანის პრეზიდენტი, აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი იყო, რომლის

თაოსნობითაც 1992 წელს ორივე მხარის პრეზიდენტებმა თეირანში მოაწერე სხელი. თუმცა, ეს შეთანხმება მომდევნო მეორე დღესვეე დაირღვა, როდესაც სომხეთის სამხედრო ძალებმა დაიკავეს ქალაქი შუშა.

საბოლოოდ, 1994 წლის 12 მაისს მიიღეს ე.წ „ბიშკეკის პროტოკოლი“ და დროებით საბრძოლო მოქმედებები შეწყდა.იმ დროისათვის, მთიან ყარაბაღს მთიანი ყარაბაღი სეპარატისტების ხელში იყო, ხოლო მის მიმდებარედ არსებული აზერბაიჯანის 7 რაიონი: აგდამი, ზანგელანი, ლაჭინი, ქელბაჯარი, ქუბალთი, ფიზული და ჯაბრაილი, ოკუპირებული იყო სომხური ძალების მიერ.

1994 წელს ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და სამშვიდობო მოლაპარაკებები წამოიყწეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის ეუთოსმინსკის ჯგუფის დახმარებით. ამ კონფლიქტში შუამავლის როლს იტვირთა სამმა ქვეყანამ, რუსეთმა, საფრანგეთმა და აშშ-მ.ხანგრძლივმა მოლაპარაკებებმა და დიდი მცდელობმა ვერ შეძლო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და ყარაბაღის სტატუსის შესახებ საერთო აზრის მიღწევა დაპირისპირებულმხარეებს შორის. დიპლომატიური კრახის გამო ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ომია ისევ განახლდებოდა. ასევე ადგილი ჰქონდა კონფლიქტის ესკალაციას და სამხედრო დაპირისპირებებს ორ მხარეს შორის.

1996 წელს ლისაბონის სამიტზე ეუთო-მ ჩამოაყალიბა კონფლიქტის მოგვარების ძირითად პრინციპები: სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა, ლეგალური სტატუსის აღდგენა მთიანი ყარაბაღის თაობაზე, რომელიც დაეყრდნობოდა თვითგამორკვევის უფლებას, რის საფუძველზეც ადგილობრივ თვითმართველობები მიიღებდნენ უმაღლესს სტატუსს აზერბაიჯანის იურისდიქციის ქვეშ. აზერბაიჯანი დათანხმდა აღნიშნულ გარემოებას, სომხეთი არ დაეთანხმა, რადგან მას არ სურდა დაეთმო ომის შედეგად მოპოვებული ტერიტორიები. სომხები მიიჩნევდნენ, რომ მინსკის ჯგუფი აზერბაიჯანელებს უჭერდა მხარს და მისი რეზოლუცია შექმნეს კომპრომისისათვის და დამატებით მოლაპარაკებების წარმოების გარეშე (OSCE Lisbon Document 1996: 15).

კონფლიქტის დასარეგულირებლად არაერთი გეგმა დასახეს და შეიმუშავეს თუმცა ყველაზე რეალურმა აზრმა გაიჟღერა 2007 წელს მადრიდის სამიტზე და ის ისტორიაში ცნობილია, როგორც მადრიდის პრინციპები. ეს გარიგება გულისხმობდა შემდეგ გარემოებებს: მთიანი ყარაბაღის მიმდებარე ოკუპირებული ტერიტორიები უნდა დაბრუნებოდა აზერბაიჯანს უკან, მთიან ყარბაღისთვის უნდა მომხდარიყო დროებითი სტატუსის მინიჭება, ასევე უსაფრთხოების გარანტიები მიღება და დროებითი თვითმმართველობა. უნდა შექმნილიყო დერეფანი რომლითაც სომხეთი დაუკავშირდებოდა მთიან ყარაბაღს. მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი უნდა გადაწყვეტილიყო რეფერენდუმით, უშუალოდ იქ მცხოვრები მოსახლეობის მიერ.

ყველა იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი უნდა დაბრუნებულიყო თავის მშობლიურ საცხოვრებელ ადგილს, მთელ რეგიონში მოსახლეობას უნდა მიეღო უსაფრთხოების გარანტიები , სამშვიდობო ოპერაციების მეშვეობით.თუმცა მადრიდის პრინციპები ითვლებოდა კონფლიქტის გადაჭრისს ყველაზე მისაღებ გეგმად, მხარეები ვერ შეთანხმდნენ პუნქტების ზუსტ ინტერპრეტაციაზე და სათავისოდ აღიქვამდნენ შეთანხმების პირობებს. მოლაპარაკებების პერიოდში ყველაზე დიდი უთანხმოება გამოიწვია მთიანი ყარაბაღის სტატუსმა. სანამ აზერბაიჯანთან რაიმე მნიშვნელოვან დათმობებზე წავიდოდა სომხური მხარე , ისინი მოითხოვდნენ გარანტიებს, რომ ყარაბაღის დამოუკიდებლობას საფრთხე არ შეეხებოდა, არ მოხდებოდა ამ რეგიონის ბაქოსთვის გადაცემა. ასევე, აზერბაიჯანი ამ საკითხთან მიმართებაში თვლიდა, რომ სომხეთისთვისცარ დაეთმო მისი ტერიტორია და თვლიდა, რომ მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა დიდი საფრთხის მომტანი იყო აზერბაიჯანის სუვერენიტეტისათვის. სომხებისთვის აქტუალური იყო თვითგამორკვევის მნიშვნელობას საკითხი მთიანი ყარაბაღის სტატუსზე საუბრისას, მაშინ როდესაც აზერბაიჯანელები დაჟინებით მოითხოვდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა სატელევიზიო არხთან ინტერვიუს დროს თქვა, რომ თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი პრინციპია,თუმცა არ უნდა დაირღვეს ქყვეყნის ტერიტორიული მთლიანობა(სალომეთორაძე, 2020).აზერბაიჯანს უკომპრომისო

პოზიცია ეკავა ყარაბაღთან დაკავშირებით და ყოველთვის მოითხოვდა ოკუპირებული ტერიტორიების უკან დაბრუნებას.

2011 წელს რუსეთმა შესთავაზა კონფლიქტიის მონაწილეებს მადრიდის პრინციპების გარშემო მოლაპარაკებები წარემართათ. ამ მოლაპარაკებების შემდეგად სომხეთს აზერბაიჯანისათვის უნდა დაეთმო ყაღაბაღის მიმდებარე 7 ოკუპირებული რეგიონი. ლავროვის გეგმის თანახმად სომხებს უნდა გადაეცათ აზერბაიჯანელებისათვის ოკუპირებული 7 რაიონიდან 5 და ამასთანავე რუსი სამშვიდობო ძალები უნდა დამდგარიყვნენ რეგიონში.მაგრამ სომხეთმა უარი თქვაა რომ დაეთმო, რის გამოც მოლაპარაკებიბი ჩიხში შევიდა. დიდი მცდელობების მიუხედავად , მოლაპარაკებების ვერა და ვერ განახლდა. სომხებს აწყობდათ არსებული სტატუს - კვო და ამიტომ უარი თქვეს დაეთმოთ აზერბაიჯანისთვის ტერიტორიები. 1994 წლის ომის დასრულების შემდეგ , სომხური მხარე მზაობას აცხადებდა აზერბაიჯანთან კომპრომისზე და ყარაბაღის შვიდ მიმდებარე ოკუპირებულ ტერიტორიას მიიჩნევდა, როგორც განსაკუთრებულ კოზირს, რომელიც უნდა ჩაერთოთ მოლაპარაკების წარმოებისას. მოგვიანებით პოზიციები შეცვალეს და აზერბაიჯანთან ნებისმიერი კომპრომისი მიიჩნეოდა, როგორც სომხური სახელმწიფოს ინტერესების ღალატი . ომის დაწყება სომხები მიიჩნევდნენ რომ, დაკავებული ოკუპირებული ტერიტორიები , მთიანი ყარაბაღის მიმდებარე შვიდი ოლქი, სომხეთის კონტროლქვეშ უნდა დარჩენილიყო. კიდევ უფრო დაძაბა ვითარება ერთმა გარემოებამ, როდესაც მთიანი ყარაბაღის სომეხმა ლიდერებმა გადაწყვიტეს რომ შვიდი ოკუპირებული რაიონი ყარაბაღთან მიეერთებინათ.ასევე პროვოკაციულად მოხდა საზღვრების შეცვლა და ასევეა ზერბაიჯანული დასახლებებისათვის სახელების ცვლილება. დაცლილ აზერბაიჯანულ დასახლებებს სომხებმა სახელები გადაარქვეს. ამით სომხეთმა ყველას ნათლად დაანახა, რომ არ აპირებდა დაკავებული ტერიტორიების დათმობას. სომხეთის მთავრობა ხელს უწყობდა იმ გარემოებასაც, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ეთნიკურად სომხები დასახლებულიყვნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ომამდე სომხეთის მთავრობას სურდა ლიბანელი სომხების ჩასახლება დაკავებულ ტერიტორიებზე და ასევე ეთნიკურად სომხური დასახლებების ცამოყალიბება ყარაბაღის მიმდებარედ, 7 ოკუპირებულ აზერბაიჯანულ

ოლქში. ამ ქმედებებმა ნათლად წარმოაჩინა, რომ სომხეთის მიზანს წარმოადგენდაზერბაიჯანული მიწების 20% - ის ანექსია. შესაბამისად, არც უნდა გაგვიკვირდეს , რომ ყველა მოლაპარაკება და ნებისმიერი ურთიერთობა კრახით სრულდებოდა და სამშვიდობო მოლაპარაკებები პარალიზებული იყო. საერთაშორისო საზოგადოება ბევრს ეცადა მაგრამ უამრავი მცდელობის მიუხედავად , ვერ მოახერხა კონფლიქტის მხარეების რაიმეზე დათანხმება. დროის გასვლასთან ერთად, პოლიტიკური რიტორიკა მაინც იცვლებოდა და დროთა განმავლობაში უფრო მეტად აგრესიული ხდებოდა.აზერბაიჯანი მოუწოდებდა საერთაშორისო თანამეგობრობას , რომ ის არ აპირებდა შეგუებოდა სომხეთის მხრიდან ოკუპაციას და მზად იყო სამხედრო გზით განეთავისუფლებინა დაკავებული ტერიტორიები.სომხეთის სახელმწიფოთავის მხრივ ემუქრებოდა აზერბაიჯანის მხარეს რომ უფრო მეტ ტერიტორიას წაართმევდა თუ იგი ომს წამოიწყებდა.

ამის შემდგომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის კვლავ ხდებოდა სამხედრო შეტაკებები. მაგალითად 2008 წლის მარტში დაპირისპირებულიმა მხარეებმა ცეცხლი გაუხსნეს ერთმანეთს. ორივე მხარე ცეცხლის პროვოცირებაში ადანაშაულებდა ერთმანეთს.

შეტაკებები არ შემწყდარა და დაფიქსირდა 2010-2011 წლებში. სიტუაცია დაიძაბული იყო ასევე 2014 წელს, როდესაც ზაფხულის თვეებში განხორციელდა მცირედი შეტაკებები, რა დროსაც დაიღუპა 20 სამოქალაქო პირის სიცოცხლე, ხოლო ნოემბერში სომხურმა მხარემ დაკარგა Ми-24 ტიპის ვერტმფრენი.

90-იანი წლების შემდეგ სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, 2016 წელს კი მხარეებმა დაპირისპირებაში ჩაერთეს მძიმე ტექნიკაც. ორივე მხარემ გამაცხადა საყოველთაო მობილიზაცია, საბედნიეროდ, კონფლიქტი მალევე დასრულდა და ბოლო შეტაკების დაწყებამდე არსებულ სტატუს ქვოს დაუბრუნდა.

კონფლიქტის შეწყვეტისა და მისი დასრულების მიზნით, კონფლიქტის დაწყებიდან 2020 წლამდე შევრი შეხვედრა მოეწყო ორივე მხარესთან, კონფლიქტის მოგვარების მიზნით. განიხილებოდა უამრავი მოგვარების გზა, სხვადასხვა მოდელები

და ვარიანტები, მაგრამ ზემოთაღნიშნულმა მოლაპარაკებებმა კონფლიქტის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.

1.2. მთიანი ყარაბაღის ომის მეორე ნაწილი 2020 წელი

სანამ მთიანი ყარაბაღის ომის მიმოხილვაზე გადავიდოთ, განვიხილოთ ორივე სახელმწიფოს „მზაობა“ ომის დაწყებაზე. ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციაში ორივე მხარეს მიუძღვის საკუთარი წილი პასუხისმგებლობა. მთიანი ყარაბაღის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო და არასოდეს ყოფილა სტაგნაციაში, მუდმივი ესკალაციის პოტენციალის მქონე რეგიონს წარმოადგენდა. ამ ყველაფერს წინ უძღვის ორივე სახელმწიფოს მხრიდან შეიარაღების მობილიზებაში, ისინი აქტიურად იძენენენ იარაღს. სამხედრო ბიუჯეტის მხრივ აღსანიშნავია აზერბაიჯანი, რომელმაც ნავთობისა და გაზის ექსპორტის ხარჯზე შეძლო საკუთარი სამხედრო შეიარაღება ექცია ყველაზე მილიტარიზებული ქვეყნების დონეზე.

აქვე აღსანიშნავია რომ სომხეთისათვის სტატუს-კვო სრულიად მისაღები იყო, აზერბაიჯანის მმართველ გუნდს კი უმყარდებოდა შთაბეჭდილება, რომ სომხეთიი ახორციელებდა ინფრასტრუქტურული პრექტებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანთა ჩამოსახლებით საკუთარ პოზიციებს გამყარებას, მიუხედავად

საერთაშორისო თანამეგობრობის გულგრილი დამოკიდებულებისა. ხავერდოვანი რევოლუციის შედგომ, როდესაც სათავეში ნიკოლ ფაშინიანი მოვიდა და ის ფაქტორი რომ ის წარმოშობით მთიანი ყარაბაღიდან არ იყო აზერბაიჯანის ხელისუფლებას აძლევდა იმის განცდას, რომ შესაძლებელი იქნებოდა ამ საკითხის მოგვარება, გარდა ამისა ფაშინიანს პროდასავლური პოლიტიკის მხარეს იხრება, რაც კიდევ ერთ მიზეზს იძლეოდა. თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა, თავდაპირველად ფაშინიანს ზომიერი ტონი ქონდა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა რომ აზერბაიჯანს მოუწევდა ისეთ კომპრომისზე წასვლა, რომელიც მისთვის მიუღებელი იქნებოდა. შესაბამისად ამის შემდგომ იწყება მოვლენების გამწვავება, ფაშინიანის შემრიგებლური ტონი, მალევე იცვლება და ის ახდენს ამის დემონსტრირებას, ასევე აჟღერებს მხარს უჭერს მთიან ყარაბაღს და სომხეთთან იტეგრაციის იდეასაც გამოთქვამს. მოგვიანებით 2020 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერების დისკუსიის შემდგომ, კიდევ უფრო ნათელი გახდა კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის საკითხი და მშვიდობიანი გზით მოგვარების ძალიან შორეული პერსპექტივა. ფაშინიანის განცხადებების პარალელურად იწყება ილჰამ ალიევის რიტორიკა, ქვეყნის საომარი მოქმედებების მომზადებისთვის. 2020 წლის ივლისში მცირე სამხედრო დაპირისპირების ფონზე, რომელსაც მაღალი რანგის ოფიცერი ემსხვერპლა, ალიევმა დაინახა ქვეყნის მშლავრი ნაციონალისტური დინამიკის გამოკვეთა, რომელი ხანმოკლე პერიოდში გადაიზრდებოდა დემონსტრაციებში და მის ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა, შესაბამისად მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც არ დააყოვნა.

2020 წლის 29 ივლისიდან აზერბაიჯანსა და თურქეთში, ერთდროულად იწყება სამხედრო წვრთნები, რომელი აგვისტო-სექტემბერშიც გერძელდება, ავადროულად თურქეთისა სამხედრო დანაყოფები და ტექნიკა რჩება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. შემდგომ ხდება მოვლენების ესკალაცია და საბოლოოდ დგება ის შედეგი, რაც ალბათ გარდაუვალი იყო, იწყება ახალი ყარაბაღის ომი. ხოლო 2020 წლის 27 სექტემბერს კონფლიქტი ახლდება და იწყება დაპირისპირება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც ექვსი კვირა გრძელდება და 10.11.2020ში სრულდება.

ქრონოლოგიურად რომ მიყვეთ 2020 წლის 27 სექტემბერს იწყბე საომარი მოქმედებები, ორივე მხარე კი ერთმანეთს ადანაშაულებს. დეტალურად რომ ავღწეროთ, ქრონოლოგია შემდეგია: არცახის ხელისუფლების განცხადებით დილის 08:03სთ-ზე დაიწყო საბრძოლო მოქმედება, როცა აზერბაიჯანის შეირაღებულმა ძალებმა საავიაციო და საარტილერიო თავდასხმა განახორციელეს სამოქალაქო დასახლებაზე, მათ შორის სტეფანაკერტზე - რომელიც 08:10სთ-ზე მოხდა. ხოლო აზერბაიჯანის გაცხადებით 06:00სთ-ზე მოხდა სომხეთის შეირაღებული ძალების მიერ აზერბაიჯანის არმიის დაბომბვა მთელი ფრონტის ხაზზე, მათ შორის მიმდებარე დასახლებებზე და რომ ეს აზერბაიჯანის კონტრიერიში იყო. რის გამოც მას მოუწია ცოცხალი ძალის, სარაკეტო, საარტილერიო, სატანკო დანაყოფების, თვითმფრინავებისა და დრონების- უპილოტო საფრენი აპარატების განლაგება. ამ დროს არცახის რესპუბლიკა საომარ მდგომარეობას აცხადებს და ყველა სრულწლოვანი მამაკაცის მობილიზებას იწყებს. აზერბაიჯანი დღის მეორე ნახევარში უკვე კომენდანტის საათს და საომარ მდგომარეობას აცხადებს, ფრონტის წინა ხაზზე ანლაგებენ ტანკებს, არტილერიას, სარაკეტო სისტემებს, ამას ემატება თვითმფრინავები და კიდევ უფრო მეტად წინ მიიწევენ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე. როგორც სომხეთის თავდაცვის სამინისტორ იუწყება, დილით აზერბაიჯანის დანაყოფებებმა შეტევა განახორციელეს ქალაქ ვარდანისზე, ხოლო აზერბაიჯანი აცხადებს რომ ყარაბაღის შვიდივე სოფელი აიღო. უკვე ნაშუადღევს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს უწყებით მუროვდაღის ქედის მწვერვალიც აზერბაიჯანს ეკუთვნის და კონტროლს ახორციელებს ვარდენისზე - რომელიც მარკატერტი-აღდარის მაგისტრალია და ერთმანეთთან აკავშირებს ყარაბაღსა და სომხეთს.

ამის შემდგომ გრძელდება სრულმსშტაბიანი საომარი მოქმედებები. კონფლიქტი საკმაოდ ინტენსიური ხასიათის იყო, ჩართული იყო არტილერია, საჰაერო, სახმელეთო ძალები, ბრძოლის ფრონტი კი საკმაოდ გაშლილი გახლდათ. კონფლიქტი დაახლოებით თვე ნახევარი გაგრძელდა და დასრულდა 10 ნომებერს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით.

10.11.2020 აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გამოაქვეყნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საომარი მოქმედება შეწყდებოდა იმავე დღეს. აზერბაიჯანს უბრუნდებოდა

აღდამის ტერიტორია ამავე წლის 20 ნოემბრამდე, ხოლო ლაჩინი 1 დეკემბრამდე. ასევე რუსი სამხედროები განლაგდებოდნენ ლაჩინისა და ყარაბაღის დერეფნის საკონტაქტო ხაზთან. ჩამოყალიბდებოდა სამშვიდობო ცენტრი, რომელიც მოახდენდა ცეცხლის შეწყვეტის პირობების დაცვის გაკონტროლებას. სომხეთსა და ყარაბაღს შორის უზრუნველყოფილი იქნებოდა კავშირი, ხოლო ლტოლვილები და დევნილები დაუბრუნდებოდნენ მთიან ყარაბაღს. მხარეებს შორის კი მოხდებოდა ტყვეებისა და მიცვალებულთა გაცვლა.

01:00სთ-ზე სომხეთის პრემიერ მინისტრი აქვეყნებს განცხადებას, რომ რუსეთის, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა და მან ხელი მოაწერების ომის დასრულების ხელშეკრულებას. რასაც მოყვა ვლადიმერ პუტინის მიერ დაზუსტება და ასევე ცნობა, რომ რუსი სამშვიდობოები განლაგდებოდნენ ფრონტის ხაზზე. რასაც ერევანში საკმაოდ დიდი აყალ-მაყალი მოყვა, მათ შორის მოსახლეობის საპროტესტო აქციები, მიტინგები და სამხედროებისათვის ძალაუფლების გადაცემის მოთხოვნა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, რომელიც დილით გაჟღერდა, ნათქვამი იყო რომ დაახლოებით 2000 რუსი მშვიდობისმფოყელი იქნებოდა გაგზავნილი ყარაბაღში. ამ პერიოდში კი არცახის თავდაცვის არმია იუწყებოდა აზერბაჯანული შენაერთების მიერ საარტილერიო და სარაკეტო იერიშებზე ფრონტის მთელ ხაზზე, მათ შორის სამოქალაქო დასახლებების მხარეს

ხელშეკრულები პირობები

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის, სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინი მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაში არსებული პუნქტები გახლდათ შემდეგი:

1. 2020 წლის 10 ნოემბრის მოსკოვის დროით 00:00 საათზე ხელი მოეწერა ცეცხლის სრულად შეწყვეტას, საბრძოლო მოქმედებების დასრულებას მთიანი ყარაბაღის ზონაში. აზერბაიჯანი და სომხეთი მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე დარჩებოდნენ.

2. აღდამის რაიონი უბრუნდება აზერბაიჯანულ მხარს 2020 წლის 20 ნომებრამდე.

3. ლაჩინის დერეფნის და ყარაბაღის გამყოფი ხაზის გასწვრივ, განლაგდებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომელიც წარმოდგენილი იქნებოდა 1960 სამხედრო მომსახურით, 90 ერთეული ჯავშანტექნიკით და 380 საავტომობილო და სპეციალური ტექნიკით

4. რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტი, განლაგდებოდა აღნიშნულ ზონაში სომხეთი სამხედრო შენაერთების გასვლის პარალელურად. მათი სამშვიდობო კონტიგენტი განლაგდება 5 წლის ვადით, რომელიც ავტომატურად განახლდება შემდეგი ხუთი წლის პერიოდისათვის, თუ მხარეები ვადამდე 6 თვით ადრე არ გამოაცხადებენ მოცემულობის შეწყვეტას.

5. შეიქმნებოდა სამშვიდობო ცენტრი, რომელიც გააკონტროლებდა ცეცხლის შეწყვეტას და შეთანხმების ეფექტურ განხორციელებას.

6. სომხეთი აზერბაიჯანს დაუბრუნდებდა ქალბაჯარის რაიონეს 2020 წლის 15 ნოემბრამდე, ხოლო ლაჩინის რაიონს 1-ელ დეკემბრამდე. ლაჩინის დერეფანს კი რუსი სამშვიდობო ძალები გააკონტროლებდნენ, ეს არ ეხებოდა ქალაქ შუშას.

7. სტეპფანაკერტსა და სომხეთს შორის, არსებული ლაჩინის დერეფნის გავლით მარშუტთან დაკავშირებით 3 წლის ვადით რუსეთის სამშვიდობოები განლაგდებოდნენ, უსაფრთხოების დასაცავად.

8. აზერბაიჯანმა, უნდა უზრუნველყოს ლაჩინის დერეფანში მოქალაქეების, ტვირთის და მანქანების უსაფრთხო გადაადგილება.

9. მთიანი ყარაბაღის ტერიტორია, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის კონტროლქვეშ ექცევა, ხოლო დევნილები და ლტოლვილები უბრუნდებიან ყარაბაღის ტერიტორიას.

10. ასევე მოხდებოდა სამხედრო ტყვეების, დაკავებული პირებისა და გარდაცვლილთა ცხედრების გაცვლა

11. უნდა მომხდარიყო რეგიონში ყველა ეკონომიკური თუ სატრანსპორტო კავშირის განბლოკვა. სომხეთს ეკისრება სატრანსპორტო კავშირის უზრუნველყოფა აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონსა და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, მოქალაქეების, ტვირთვის და მანქანების უსაფრთხო მოძრაობა, ხოლო რუსეთის უსსაფრთხოების სამსახური ამის სატრანსპორტო კონრტოლს განახორციელებს.

12. აზერბაიჯანსა და ნახიჩვენის ავტ. რესპუბლიკას შორის ახალი სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობა, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ.

სამშვიდობო შეთანხმების დებულებების მიმოხილვა

10 ნოემბერს გაფორმებული სამშვიდობო შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი (3) შეეხება კონფლიქტის ზონაში 1960 რუსი სამშვიდობოს განთავსებას, რაც შეთანხმების ხელმოწერისთანავე დაუყოვნებლივ განახორციელა კიდეც რუსეთის ფედერაციამ. ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მთიან ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების განთავსება რუსეთის ხელში ახალ ქმედით ბერკეტს წარმოადგენს აზერბაიჯანსა და სომხეთზე ზეგავლენისთვის. თუმცა, ამ არგუმენტთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ყარაბაღის კონფლიქტი მანამდეც წარმოადგენდა ზეგავლენის სერიოზულ ბერკეტს მოსკოვისთვის. კერძოდ:

1. სწორედ ყარაბაღი იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც სომხეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრაქტიკულად სრულად მოექცა რუსეთის გავლენის ქვეშ;

2. აზერბაიჯანისთვის მოსკოვი გადაიქცა ბევრად უფრო ანგარიშგასაწევ ძალად, ვიდრე ყარაბაღის კონფლიქტის არარსებობის პირობებში იქნებოდა;

3. ყარაბაღი დამატებითი ხელშემშლელი გარემოება იყო თურქეთისთვისაც სომხეთთან ურთიერთობის მოგვარების მხრივ, რომლის მცდელობაც ანკარას, მაგალითად, ჰქონდა 2008-2009 წლებში „საფეხბურთო დიპლომატიის“ სახელწოდებით ცნობილი აქტივობის ფარგლებში.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსკოვს სტატუს-კვოს შეცვლამდე (კონფლიქტის ზონაში საკუთარი სამშვიდობოების განლაგებამდე), როგორც სომხეთის

სტრატეგიულ მოკავშირეს, ყარაბაღის უსაფრთხოებაზე მხოლოდ ირიბი პასუხისმგებლობა ჰქონდა. ეს მოცემულობა პრინციპში ბევრად უფრო მომგებიანი იყო მოსკოვისთვის, ვიდრე სამშვიდობოების 4 განლაგების შემდეგ ყარაბაღის უსაფრთხოებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობის აღება, რადგან რუსეთის ამ ახალი სტატუსით მხოლოდ ყარაბაღი შეიძლება დარჩეს ბოლომდე კმაყოფილი. თუკი მოსკოვს უნდა, რომ შეინარჩუნოს ყარაბაღი აზერბაიჯანსა და სომხეთზე ზეგავლენის ბერკეტად, მაშინ მან არ უნდა დაუშვას, რომ შეიცვალოს ახალი სტატუს-კვო. შესაბამისად, აზერბაიჯანს არ უნდა მისცეს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა. სწორედ ამაზე მიუთითებს პრეზიდენტ პუტინის განცხადება მისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუდან, რომ ყარაბაღის სტატუსი დაურეგულირებელი რჩება – აზერბაიჯანული მხარე კი სამშვიდობო შეთანხმების გაფორმების შემდეგ საპირისპიროს ამტკიცებდა. ამასთან, მოსკოვმა არც ერევანს არ უნდა მისცეს სომხეთში ბოლო დრომდე საკამაოდ პოპულარული იდეის, რომ „არცახი სომხეთია“, რეალიზების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების განთავსების შემდეგ, არა მხოლოდ უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ, სავარაუდოდ, პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხითაც გაიზრდება ყარაბაღის დამოკიდებულება მოსკოვზე და, შესაბამისად, შემცირდება ერევანზე. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ბოლო ხანებში რუსეთის ტელეარხების პროპაგანდისტულ „თოქ-შოუებში“ არაერთხელ იყო ნახსენები, რომ ყარაბაღი, სომხეთისგან განსხვავებით, ყოველთვის გამოკვეთილად პრორუსული იყო. სამშვიდობო შეთანხმების კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტის (5) მიხედვით, კონფლიქტის მხარეების მიერ შეთანხმების შესრულების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით იქმნება ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის სამშვიდობო ცენტრი. ამ ცენტრის შექმნაზე შეთანხმებას დამატებით მოაწერეს ხელი რუსეთმა და თურქეთმა, რაც კიდევ ერთი დამატებითი ინდიკატორია, რომელიც სამშვიდობო შეთანხმების შედგენაში რუსეთის როლზე მიუთითებს. რამდენადაც, შეთანხმების მიხედვით, ამ ცენტრში თურქული მხარე უნდა იყოს წარმოდგენილი, თურქეთის მონაწილეობა ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში გაიზარდება. ეს შეთანხმება ასევე წარმოადგენს ერთგვარ სამართლებრივ საფუძველს თურქეთისთვის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო კონტინგენტის განსათავსებლად,

რაც ასევე არ არის სასურველი რუსეთისთვის. ძალზე მნიშვნელოვანია შეთანხმების ბოლო პუნქტიც (9), რომელიც ეხება ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირების განბლოკვას რეგიონში. კერძოდ, ამ პუნქტის თანახმად, აზერბაიჯანს ეხსნება სატრანსპორტო დერეფანი საკუთარ ექსკლავთან – ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან, რომელსაც, თავის მხრივ, საზღვარი აქვს თურქეთთან. ეს დერეფანი, ისევე, როგორც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დერეფანი, რომელიც სომხეთს სტეფანაკერტთან აკავშირებს (პუნქტი 3), რუსეთის კონტროლს დაექვემდებარება, რაც რუსეთისთვის სერიოზული ბერკეტია. აღსანიშნავია, რომ ე.წ. ნახიჩევანის დერეფნის გახსნით რეგიონში თურქეთის კიდევ უფრო აქტიურად შემოსვლის წინაპირობა მაინც გაჩნდება. ამ ახალ რეალიებში ანკარა, სავარაუდოდ, შეეცდება კვლავ დაინტერესოს სომხეთი მასთან პირდაპირი კავშირის დამყარებით. მით 5 უმეტეს, რომ ერევანი, სულ მცირე, ბოლომდე კმაყოფილი არ უნდა იყოს არც მოსკოვის მოქმედებით ყარაბაღის კონფლიქტის ესკალაციის პერიოდში და არც სამშვიდობო შეთანხმებით, რომელიც სომხეთისგან ცალსახად მოითხოვს საკუთარი სამხედრო ძალების გაყვანას და აღდამის, ქელბაჯირის და ლაჩინის რაიონების უპირობოდ დაბრუნებას აზერბაიჯანისთვის.

საყურადღებოა ამ სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით გავრცელებული ერთი ვერსია – თითქოს შეთანხმების ტექსტი ჯერ რუსეთსა და თურქეთს შორის შეთანხმდა და მხოლოდ ამის შემდეგ წარედგინა აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებს. შესაძლოა, ეს ვერსია ზუსტად არ ასახავდეს რეალობას, მაგრამ იმაზე, რომ აზერბაიჯანის სტრატეგიულ მოკავშირე თურქეთს მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა როგორც შეიარაღებული კონფრონტაციისას, ისე სამშვიდობო შეთანხმების მიღწევაში, მრავალი პირდაპირი თუ ირიბი მტკიცებულება მეტყველებს. ამასვე ადასტურებს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ი. ალიევის მიერ სამშვიდობო შეთანხმების გაფორმების შემდეგ გაკეთებული განცხადებაც, რომელშიც მან აქცენტი გააკეთა თურქეთის მნიშვნელოვან როლზე. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო განვითარებული მოვლენების შედეგად, პოსტსაბჭოთა სივრცეში შეიქმნა სრულიად ახალი რეალობა.

კერძოდ:

1) დასავლეთს პრაქტიკულად არანაირი როლი არ შეუსრულებია შეირაღებული კონფლიქტის დეესკალაციაში და, მით უმეტეს, იგი არ მონაწილეობდა ახალ სამშვიდობო შეთანხმებაში. ამით ყარაბაღი სრულიად განსხვავდება თუნდაც რუსეთუკრაინის (2014) და რუსეთ-საქართველოს (2008) კონფლიქტებისგან;

2) თურქეთის სახით გამოჩნდა ძლიერი და ანგარიშგასაწევი რეგიონული ძალა, რომელიც პირიქით, დეესკალაციაშიც და სამშვიდობო შეთანხმებაშიც აქტიურად მონაწილეობდა და მომავალში, მაღალი ალბათობით, შეეცდება კიდევ უფრო გაზარდოს საკუთარი როლი როგორც მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების შესრულებაში, ისე ყარაბაღის კონფლიქტის გარშემო განვითარებულ მოვლენებში.

თურქეთის როლი ყარაბაღის ომში

თურქეთმა ამ ომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, კერძოდ მისმა აზერბაიჯანისადმი მხარდაჭერამ საკვანძო როლი ითამაში. როგორც აღმოჩნდა თავად აზერბაიჯანი, საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა ამ ომისთვის, მას შეძენილი ქონდა ყველაზე თანამედროვე სამხედრო დრონები და მაღალპრეციზიული შეიარაღება

აქვე აღსანიშნავია თურქეთის მხარდაჭერა აზერბაიჯანის სამხედრო ძალების წვრთნაში, რამაც აამაღლა მათი ბრძოლისუნარიანობა. ოფიციალურმა თურქეთმა აზერბაიჯანს სამხედრო დონები მიაწოდა და ტექნიკური მომსახურება გაუწია, რაც წარმატების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ მრავალ წყაროში აღნიშნულია თუქეთის მიერ დაახლოებით 2000 სირიელი მებრძოლის ჩუმად შეყვანა აზერბაიჯანში, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია.

თავავად პრეზიდენტმა ერდოღანმა საერთაშორისო არენაზე ღიად დააფიქსირა აზერბაიჯანის მიმართ უპირობო მხადაჭერა, რაც აზერბაიჯანისთვის ჭეშმარიტი მოკავშირის ყოლას ნიშნავდა. თავად თურქეთმა კი, ამ ნაბიჯით ნაციონალისტურ წრეებში დამატებითი ქულა დაიწერა და შიდაპოლიტიკა გაამყარა. ამ ქმედებით თურქეთმა შეძლო რუსეთის გამოწვევა ბოსტსაბჭოთა სივრცეში, რადგან ის

მოიაზრებოდა რუსეთის გავლენის სფეროდ, ამით კი გაიმყარა პოზიციები სირიის და ლიბიის კონტექსტში მოსკოვთან მოლაპარაკებების კუთხით.

არაერთი ფაქტი გვაქვს თურქეთის და რუსეთის ოპოზიციონირების (სირია, ლიბია, ქურთები), შესაბამისად თურქეთის ხელისფულებისათვის არახერსაყრელია რუსეთის პოზიციების გამყარება შავიზღვისპირეთში. ყარბაღის კონფლიქტში ჩართვამ კი ყველას დაანახა, რომ თურქეთი გავლენიან მოთამაშეს წარმოადგენს.

აქვე აღსანიშნავია, საქართველო და უკრაინა თურქეთს პოტენციურ მეკავშირედ აღიქვამენ შავი ზღვის რეგიონში, რუსეთთან მიმართებაში. ყარაბაღის კონფლიქტში აზერბაიჯანის გამარჯვებამ, კიდევ უფრო გაამყარა ბაქო-ანაკარას კავშირი, რაც ორივე მხარისთვის სარგებლის მომტანია, მათ შორის კასპიის ზღვის გავლით ეკონომიკური და ენერგეტიკული ინტერესები

რუსეთის როლი ყარაბაღის ომში

ყარაბღის კონფლიქტში, რუსეთმა გარკვეულწილად გამარჯვებაც განიცადა და დამარცხებაც, რადგან დადებული შეთანხმება გვიჩვენებს რომ რეგიონში უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით რუსეთი სერიოზულ ძალას წარმოადგენს, თუმცა აქვე გამოჩნდა თურქეთის როლიც, რომელმაც დაანახა რომ ის მნიშვნელოვანი მოთამაშეა.

მიუხედავად სარჩულისა, რომ აზერბაიჯან-სომხეთის ომი თითქოს მოულოდნელობას წარმოადგენდა რუსეთისათვის, რეალურად ეს ასე შეგვიძლია არ განვიხილოთ, რადგან ბევრად ადრე მან რეგიონში 2000 „მშვიდობისმყოფელი“ შეიყვანა. მისივე პოლიტიკის გავლენით მოხდა ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მარგინალზაცია და აშშ, საფრანგეთი/ევროკავშირის როლის შესუსტება.

რუსეთი ამ კონფლიქტში გვევლინება სომხეთი მფარველ ძალად და ასევე ცეცხლის შეწყვეტის მთავარ ძალის მანტია მოირგო, ამასთანავე ყარაბაღში საკუთარი ძალების განთავსებაც მოახდინა, რაზეც შეგუება აზერბაიჯანს იძულებით მოუწევს. ამავდროულად, კრემლმა მოახდინა შეთანხმებიდან თურქეთის „გამოგდება“, მიუხედავად იმისა რომ მონიტორინგის მექანიზმში თურქეთი შედიოდა.

სომხეთის გავლით დერეფნის არსებობა, გულისხმობს რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნას, თუმცა ამავდროულად იძლევა საშუალებას თურქეთის აზერბაიჯანთან და კასპიის ზღვასთან დაკავშირების. ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ, სომხეთს აზერბაიჯანისათვის 90-იან წლებში დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილის დათმობა მოუწია, რაზეც რუსეთს განსაკუთრებული რეაგირება არ ქონია, ეს კი გულისხმობს რუსეთის შედარებით შეზღუდულ გავლენაზე.

სომხეთს ამ ომმა დაანახა, რომ მისთვის სანდო პარტნიორი ვერ იქნებოდა ვერც რუსეთი და ვერ დასავლური თანამეგობრობა. ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთის დამარცხებამდე, რუსეთს პრაქტიკულად ნეიტრალიტეტი ეჭირა, რაც მათთვის კიდევ ერთი ნიშანია, რომ ვერ იქნება რუსეთი მათი საყრდენი.

ოფიციალური მოსკოვი თავად წყვეტს როდის ჩერთოს პროცესებში და როდის არა, მიუხედავად გარემო ფაქტორებისა. ის რომ რუსეთი გააკონდროლებს სატრანზიტო მარშუტს აზერბაიჯანისა და ნახიჭევანისი გავლით, სომხეთს დამოკიდებულს ხდის კრემლის კეთილგანწყობაზე. შესაბამისად რუსეთი სომხეთის შიდაპოლიტიკურ ამინდზე კიდევ უფრო მეტ გავლენას მოიპოვებს. რუსეთის „ნეიტრალიტეტი“ ასევე გვაფიქრებინებს რომ ფაშინიანის პოზიციების შესუსტებას ემსახურებოდა.

სომხეთი- ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დადებული შეთანხმება, სომხეთისათვის კაპიტულაციის ტოლფასია, რაც შესაძლოა სახელმწიფო დესტაბილიზაციის მიზეზი გახდეს და მის სუვერენიტეტს ძირი გამოუთხაროს. ამ შეთახმებაზე ხელმოწერით მნიშვნელოვნად დაზარალდა პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი, მან დაკარგა არსებული სადავეები და სომეხი ხალხის თვალში დისკრედიტაცია განიცადა, რაც მის ხელისუფლებაში ყოფნის ხანგრძლივობას ეჭქვეშ აყენებს.

ამასთანავე, სომხეთმა მიიღო ლტოლვილთა დიდი ტალღა, რომელიც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, მიიღო მძიმე ფინანსური და ეკონომიკური დარტყმა. ლტოლვითა რაოდენობა სულ უფრო იზრდება, რაც ქაოსს იწვევს და სახელმწიფოს უუნაროდ წარმოაჩენს, ამა ემატება Covid-19 პანდემიით გამოწვეული ზიანი.

რაც შეეხება ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომ მოსულ პოლიტიკურ ძალებს, მათ კრახი განიცადეს, დღესდღეობით ქმედითუნარიანი პოლიტიკოსების ნაკლებობას განიცდის სომხეთი, რასაც ბონუსად წინა ხელისუფლების მიერ კორუფციის კვალი და სომხეთის არმიის მძიმე მდგომარეობა მოყვა.

აზერბაიჯანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ

აზერბაიჯანმა ყარაბაღის კონფლიქტის შემდგომ, შეთანხმების საფუძველზე შეძლო და დაიბრუნა ლანიჩის, აღდამისა და კალბაჯარის რაიონები, ამავდროულად აკონტროლებს ფიზულის, ჯაბრაილის, ასევე ზანგილანისა და ქუბადლის რაიონებს, ჰიდრუთსა და შუშაზე, რომელიც მთიანი ყარაბაღის შიგნით მდებარეობა. სომხეთის გავლით არსებული კორიდორი, რომლითაც ის დაუკავშირდება თურქეთსა და ნახიჩევანს. ყარაბაღის კონფლიქტი, პრაქტიკულად აზერბაიჯანის ტრიუმფით დასრულდა.

რას წარმოადგენს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ევროკავშირისთვის და აშშ-სთვის?

აშშ-სა და ევროკავშირისათვის აღნიშნული შეთანხმება შეიძლება მივიღოთ როგორც მორიგი კრახი კოფლიქტების მოგვარების პოლიტიკაში. ხოლო ეუთო-ს მინსკის ფორმატა დაკარგა როგორც ფუნქცია, ასევე არსებობის ლეგიტიმაციაც. აზერბაიჯანისთვის ეს თანაარსებობა თავიდანვე პრობლემური იქნებოდა, რადგან ეთნიკური სომხების წილი აშშ, საფრანგეთსა და რუსეთში უპირობოდ მაღალია.

მინსკის ფორმატის ქმედითუნარიანობა ბოლო პერიოდში საკმაოდ დაბალი იყო, რადგან თითქმის ყველა მოლაპარაკებაში დომინანურ როლს რუსეთი ასრულებდა. აქვე რუსეთი მუდმივად ცდილობა, როგორც სომხეთის ასევე აზერბაიჯანი, მასზე დამოკიდებული ყოფილიყო - რადგან ის იარაღით ამარაგებდა აღნიშნულ სახელმწიფოებს.

რაც შეეხება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერას, რომელიც რუსეთისა და თურქეთის კოორდინაციით მოხდა, აუარა გვერდი მინსკის ფორმატს სრულიად ახალი რეალობა დაგვანახა, რომ დასავლეთი აღნიშნულ კონფლიქტში ვერანაირ როლს ვერ თამაშობდა და მოსკოვმა ანკარასთან შეძლო კომუნიკაციის დამყარება, ვიდრე ვაშინგტონთა. სომხეთს რაც შეეხება ბრიუსელის და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უინტერესობა, მისთვის სერიოზული იმედგაცრუება აღმოჩნდა.

სომხეთი ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომ ცდილობდა ევროპული და დასავლური დემოკრატიისათვის აეწყო ფეხი, ქონოდა მათი მხარდაჭერის იმედი, თუმცა ვერცერთი სახელმწიფოსგან მხარდაჭერა ვერ მიიღო, ინტერესის დონეზეც კი და ამ დროს ჩნდება ავტორიტატული რუსეთი, რომელიც „მშვიდობისმყოფელის“ როლში ევლინება, თუმცა საკუთარი სარგებელის ხარჯზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, სომხეთმა პრაქტიკულად რწმენა დაკარგა ევროკავშირის მიმართ, სომეხმა მოსახლეობამ კი იმედი ააშენოს დემოკრეტიული და ევროპული სახელმწიფო. მედალს ორი მხარე აქვს, სომხეთი გაფართოებული პარტნიორობის შეთანხმების (CEPA) და ევროვაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია, განიხილებოდა ერთგვარ მოდელად, თუმცა უმოქმედობით ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ამან მნიშვნელოვნად დააზიანა.

საქართველოზე გავლენა

თუ გავითვალისწინებთ გეოგრაფიულ მდებაორებას, ის რომ ყარაბაღი თბილისიდა 375 კილომეტრშია, ხოლო ქალაქი განჯა 208 კილომეტრში რომელიც ომის დროს დაიბომბა, მარტივი წარმოსადგენია რომ ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს. გარდა ამისა, აზრბაიჯანი და სომხეთი საქართველოს საკმაოდ მსხვილი ეკონომიკური პარტნიორია, მათ შორის ომი კი ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას მნიშვნელოვნად ამცირებს და ზიანს აყენებს. ამ ორ ქვეყანასთან საქართველოს გააჩნია როგორც საგარეო ვაჭრობის, ასევე ტურიზმისა და ინვესტიციების მხრივ ურთიერთობა, რაც ფრიად მნიშვნელოვანი სეგმენტებია. თუ გადავხედათ სტატისტიკას 2019 წლის მონაცემებით აზერბაიჯანი ამ სიაში რიგით მე-4 პარტნიორია, ხოლო სომხეთი მე-5.

ამავე პერიოდში საქართველოს აზერბაიჯანთან 449 მილიონი აშშ დოლარის, სომხეთთან კი 412 მილიონი აშშ დოლარის ექსპორტი განახორციელა, იპორტი კი აზერბაიჯანიდა 559 მილიონი აშშ დოლარი, სომხეთიდან 267 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც ნათელს ხდის რამდენად მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან და ომი ამ ორ ქვეყანას შორის, რა რიგ დიდი საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს საქართველოსთვის.

ყარაბაღის კონფლიქტის გეო-პოლიტიკური ასპექტები

კავკასიის რეგიონში სხვადასხვა დაპირისპირებები, კონფლიქტები და მათ შორის ომი, უახლესი ისტორიის პრაქტიკულად განუყოფელ ნაწილია. რეგიონის ფარგლებში მშვიდობის შენარჩუნება დიდი გამოწვევა იყო და რჩება, ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი ყარაბაღის ომია.

ომს გააჩნია თავისი კანონები, არსებული ვითარება ვიღაცისთვის მიუღებელი და ასევე მიუწვდომელია მშვიდობიანი გზებით მოგვარების გზები, ამიტომ ახალი რეალობას ძალისმიერი გზით და ომით ცდილობს. ანალოგიურ ვითარებას წარმოადგენს ყარაბაღის მეორე ომი, რომელიც კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს.

ისტორიას თუ გავიხსენებთ, ვნახავთ რომ კავკასიის რეგიონში ხანგრძლივი მშვიდობა თითქმის არ ყოფილა, ყოველთვის იყო დაპირისპირება და რამდენიმე გეოპოლიტიკური მოთამაშის ინტერესების გატარება. ბოლო პერიოდში წამყვან გეოპოლიტიკურ მოთამაშეებად რუსეთი, აშშ, თურქეთი, ირანი და ევროავშირი გვევლინება. ამჟამინდელი ვითარებაც ამავე ჭრილში უნდა განვიხილოთ.

ყარაბაღის ომის დაწყების სარჩული რამდენიმეა. აზერბაიჯანის თავდასხმას წინ უძღვოდა შტატებში მოსალოდნელი არჩევნები, რომელიც ყურადღების შესუსტების საწინდარი იყო, რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური ძვრები და ფაშინიანის ხელისუფლების მიმართ ოფციალური კრემლის უკმაყოფილება. თურქეთის უპირობო მხარდაჭერა აზერბაიჯანის მიმართ, ომის დაწყება კი თურქეთის მხარეს საშუალებას მისცემდა საერთაშორისო ყურადღება გადაეტანა ომზე, მაშინ როცა თავად ხმელთაშუა ზღვის ენერგეტიკულ რესურსებზე ევროკავშირთან და საფრანგეთთან გამწვავება

ქონდა, რასაც ომის პერიოდში სამეცნიერო და გეოლოგიური კვლევების განახლება ადასტურებს.

აზერბაიჯანის წისქვილზე წყალს ასევვე რუსეთის ფაშინიანის ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება ასხამდა, რაც დადასტურდა ომის პერიოდში რუსეთის „ნეიტრალიტეტით“. ყოველივე ეს აზერბაიჯანმა საკმაოდ სწორად გათვალა და სტრატეგიული ხასიათი ქონდა მის მოქმედებებს.

ეს გვიჩვენებს რეგიონის ორი მთავარი მოთამაშის პოზიციების გამყარების ტენდენციას, თურქეთი აზერბაიჯანის ტრიუმფით საკმაოდ იმყარებს პოზიციას რეგინში და ეძლევა შესაძლებლობა აზერბაიჯანთან სტაბილური ენერგეტიკული თანამშრომლობის, ასევე გაზის ექსპორტი- რომელიც როგორც ვიცით ბოლო ორი წელია, აზერბაიჯანი მთავარი ექსპორტიორია თურქეთისათვის, იმის პარალელურად რაც რუსეთიდან მიწოდებული გაზის წილი მცირდება. აზერბაიჯანიც საკუთარ პოზიციებს იმყარებს, თურქეთთან ექმნება დერეფანი სომხეთის გავლით. რაც შეეხება რუსეთ, მას მნიშვნელოვანი გეო-პოლიტიკური დანაკარგი არ განუცდია, რადგან მას ისედაც განთავსებული აქვს საკუთარი სამხედრო სტრატეგიული ბერკეტები როგორც სომხეთში, ასევე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

დემოკრატიულ კონტექსტში რომ განვიხილოთ, არცერთი მათგანი არ გამოირჩევა ფუნდამენენტალური პრობლემებით დემოკრატიის კუთხით, ისინი მეტწილად ავტორიტარული სახელმწიფოებია. ხავეროდვანი რევოლუციის შემდგომ ნიკოლა ფაშინიანის მცდელობა, აეშენებინა დემოკრატიული სახელმწიფო, შეემცირებინა რუსეთის ზეგავლენის წილი, სერიოზული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა და უფრო მეტად მოსალოდნელია სომხეთი რუსეთზე დამოკიდებულების გაზრდა, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით. რადგან, როგორც ვნახეთ დასავლეთს კონფლიქტის მოგვარებაში, სომხეთის სასარგებლოდ პრაქტიკულად არანაირი ჩარევა არ განუხორციელებია. აქვე სავარაუდოა, რუსეთის მხრიდან პრორუსი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა სომხეთში, ვინაიდან კარგად ცნობილია ფაშინიანის მიმართ მისი ნეგატიური განწყობა. ეს ყოველივე კი ნიშნავს დასავლეთის და ევროკავშირის წილის შემცირებას რეგიონში და რუსეთის პოზიციების გაყარებას.

აქვე უნდა აღინიშნოს თურქეთის წილიც, რომელმაც როგორც ყარაბაღის, ასევე სირიის კონტექსტში მნიშვნელოვანი პოზიციები გამოავლინა. დაგვანახა, რომ ოფიციალურ კრემლთან მას შეუძლია მოლაპარაკებების წარმოება და საკუთარი პოზიციონირება. ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ ანკარის როლი და გავლენა რეგიონზე კიდევ უფრო განმტკიცდა, მაგრამ მას წინ დასავლეთთან ურთიერთობების საკითხის წარმატებით მოგვარება მოუწევს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, რეგიონში საქართველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც დემოკრატიული პრინციპების პერსპექტივირებისთვის, ასევე მისი როგორც სტრატეგიული მიზნებისთვის რეალიზაციის კუთხით. ამ კუთხით საქართველოს მეტი ყურადღება და მობილიზება მართებს.

ყარაბაღის ომში ჩართული სახელმწიფოებიდან არცერთს არ გააჩნია დასავლეთტან კარგი პარტნიორული ურთიერთობა, ყარაბაღის ომის შემდგომ კი ალბათ უფრო შორეულ პერსპექტივაში გადაიწვეს, რაც საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას უფრო რთულს ხდის. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს თურქეთის ნატო-ს წევრობა, რომელიც საქართველოს ნატოს ალიანსში ინტეგრაცია მხარს უჭერს. ჩინეთისა და ირანის როლი, პრაქტიკულად უცცლელი რჩება ამ ეტაპზე.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს რომ დიდი გეოპოლიტიკური ძვრები, დომინანტი მოთამაშეების ინტერესების გატარების გარეშე არ ხდება.

1.3 კოლექტიური მეხსიერება და მისი ადგილი/როლი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში

„კოლექტიური მეხსიერება (Collective memory) — ეს არის საერთო მეხსიერება, რომელიც გადაიცემა და კონსტრუირდება ჯგუფის მიერ. აღნიშნული ტერმინი

ეკუთვნის ფრანგ სოციოლოგს მორის ჰალბვაქსს, რომელმაც ის ინდივიდუალური მეხსიერებისგან განასხვავა. კოლექტიური მეხსიერება ემყარება რეპრეზენტაციული ფორმების მუდმივ წარმოებას. კონკრეტული ნარატივები და ხატები მუდამ განიცდის კვლავწარმოებას დაფორმირებას“[1]. სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს კოლექტიურ მეხსიერებას, რომელიც ყარაბაღის კუთვნილების საკითხთან მიმართებაში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა. ყარაბაღის კუთვნილებასთან დაკავშირებით ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტები გააჩნია, საუბარია არა მხოლოდ სუბიექტურ არგუმენტებზე, არამედ ისტორიულ ფაქტების კონსტანტირებაზე, რაც ლოგიკურია ურთიერთსაწინააღმდეგოა. ყოველივე ეს კი, ფრიად აქტუალურია მარნეულის რეგიონის ეთნიკური უმცირესობისათვის.

თომას დე ვაალი კარნეგი ევროპის წამყვანი მკვლევარი, შეისწავლის აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონს. იგი ავტორია მთიანი ყარაბაღის შესახებ აღიარებული წიგნის "შავი ბაღი: სომხეთი და აზერბაიჯანი მშვიდობისა და ომის დროს".[2] (NYU Press, second edition 2013) - მან მნიშვნელოვანი ანალიზი გააკეთა დაპირისპირებული მხარეების მიერ კონფლიქტის ესკლაციის კუთხით როგორც ისტორიულ ფაქტებზე, ინციდენტებზე, მტრობის შესახებ არსებულ პროპაგანდაზე და მითებზე, სამოქალაქო ასპექტებზე და მრავალ სხვა ფაქტორზე. თავის ნაშრომში წერს, რომ კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოებში ჩამოყალიბებული იდეები იდენტობის, უფლებების თუ ისტორიული ფაქტების შესახებ წარმოადგენს პოსტსაბჭოური იდეოლოგიის მარწუხებს, რაც იმჟამინდელი პერიოდის დამღის შედეგია. სწორედ ეს იდეოლოგია, მენტალობა და არსებული დამოკიდებულება გახდა სიძულვილის ნარატივების დასაბამი, რამაც შემდგომი ომი გარდაუვალი გახადა და გახდის. ის გამოსავალს მხოლოდ ძირეულ ცვლილებაში ხედავს, მისი აზრით სანამ ეს დამოკიდებულება იარსებებს აღნიშნულ სახელმწიფოებში, მანამ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ეს პრობლემა მუდამ იქნება (Th. de Waal 2003:272).

---

[1] კოლექტიური მეხსიერება 2020. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

[2] ხოჯალი - მე-20 საუკუნის სისხლიანი ტრაგედია21.11.15http://www.kavkazplus.com/news.php?id=498#.YNshhej7SUk

რაუფ გარაგოზოვი რომლის კვლევის ინტერესს წარმოადგენს ნარატივი, კოლექტიური მეხსიერება და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, აღნიშნავს რომ კოლექტიური მეხსიერება ართულებს არა მხოლოდ კონსენსუსის მიღწევას სახელმწიფოებს შორის, არამედ ის ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ბარიერს დომოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადიების პროგრესიის მხრივ. მისივე თქმით, კოფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის დამყარებაში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წარსულ უარყოფით, ნეგატიური ხატების წარმომქმნელ კოლექტიური მეხსიერების ფაქტორების გათვალისწინებას (Garagozov 2005: 59).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექტიური მეხსიერება იქმნება საზოგადოების მიერ, რაშიც მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხელოვნებას და სპორტს, რომელიც ფართო აუდიტორიას მოიცავს. როგორც წესი სპორტი და ხელოვნება გამიჯნული უნდა იყოს პოლიტიზირებისაგან, თუმცა სწორედ ეს ორი სფერო გვევლინება საკმაოდ მძლავრ და ხშირად გამოყენებად იარაღად, რადგან ის მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტულ ქვეყანას, ან ხალხს, არამედ ტრანსლირებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად ადვილი მისახვედრია მისი მოქმედების არეალი რა რიგ დიდია. სწორედ ამიტომ ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ შედგენილი თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ქარტიის ძირითადი პრინციპია - სპორტისა და პოლიტიკის გამიჯვნა. ოლიმპიური ქარტიის მიხედვით - "ყველა ქვეყნის სპორტსმენს აერთიანებს პატიოსანი და თანაბარუფლებიანი თამაშები. ქვეყნებისა და ცალკეული პირების მიმართ არ დაიშვება არანაირი დისკრიმინაცია რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური მოტივებით". თუმცა ისტორიას თუ გადავხედავთ, უამრავ მსგავს მაგალითს ვნახავთ

ზაფხულის VII თამაშები, (1920 წელი, ანტვერპენი) სწორედ ეს ოლიმპიადა უნდა ჩაითვალოს პირველ მაგალითად, თუ როგორ შეიძლება სპორტული მოვლენის პოლიტიკურად შეფერადება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ანტვერპენის თამაშებზე არ მიიწვიეს გერმანია და მისი მოკავშირეები პირველ მსოფლიო ომში. ეს იყო სასჯელი საომარი მოქმედების გაჩაღებისთვის. გარდა ამისა, თამაშების ორგანიზატორებმა დემონსტრაციულად არ შეიმჩნიეს საბჭოთა რუსეთის არსებობა და 30-იანი წლების შუა რიცხვებამდე,

ოლიმპიური კომიტეტი რუსეთის წარმომადგენლად მეფის რეჟიმის ემიგრანტებს, კერძოდ კი თავად ლევ ურუსოვს მიიჩნევდა.

ბოლო მოვლენების მაგალითს წარმოადგენს ფრეისია ლილესას (ეთიოპელი ათლეტი, ოლიმპირუი ვერცხლის მედლის მფლობელი) მაგალითი რომელმაც ფინიშის ხაზი ხელეგადაჯვარედინებულმა გადაკვეთა, რაც ეთიოპიაში ორმოს ხალხისადმი გამოვლენილი ძალადობისადმი პროტესტს წარმოადგენდა (BBC 2016). ასევე აღსანიშნავია.

2018 წლის ზამთრის ოლიმპიადა, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ქალთა გაერთიანებული ნაკრების ასპარაზი (West 2018).

იგივე შეგვიძლია ვთქვათ სომხეთსა და აზერბაიჯანზეც, მათ შემთხვევაში კიდევ უფრო ნათლად ჩანს აღნიშნული ფაქტები და პაექრობა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ ხელოვნების ნებისმიერ დარგს ეს იქნება მუსიკალური, თეატრალური, სპორტული თუ სხვა.

აზერბაიჯანელი ერის კოლექტიური მეხსიერება და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

დავიწყოთ რაუფ გარაგოზოვის შეხედულებით. მისი აზრით - აზერბაიჯანის საისტორიო ტრადიცია შედარებით ახალგაზრდაა და მათ არ გააჩნიათ ისტორიული ნარატივების შესაქმნელად შესაბამისი ქრონიკები, რაც ამ შემთხვევაში წარმოადგენილია საზოგადოებრივი (სახალხო) კუთხით - რომელიც გამოიხატებოდა ფოლკლორში, ზეპირსიტყვიერ გადაცემაში, მითებსა და ლეგენდებში, რომელიც როგორც ვიცით საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში და სწორეს ეს გახდა საწინდარი აზერბაიჯანული კოლექტიური მეხსიერების ფორმირებაში. „ეპიკური

თხრობის ნაციონალური ტრადიცია“- სწორედ მსგავსი ფოლკლორის საფუძველზე შეიქმნა (Garagozov 2005: 57).

სასომხეთისა და სომხების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, აზერბაიჯანელების კოლექტიური მეხსიერების ერთ-ერთ მახასიათებელ ნარატივს წარმოადგენს. როგორც ვიცით და არაერთხელ აღვნიშნეთ, კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში მრავალი სფერო იღებს მონაწილეობას, სწორედ აზერბაიჯანელი სამეცნიერო საზოგადოების, ისტორიკოსების, ხელოვების წარმომადგენლებისა და მედიის მიერ მოხდა ისტორიის სოციალური რეპრეზენტაცია, რადგან განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდნენ სომხების მიერ აზერბაიჯანელებისადმი უარყოფით დამოკიდებულებაზე, ყველა შესაძლო შემთხვევასა და სიტუაციაში აზერბაიჯანელებისადმი ზიანის მიყენებაზე.

გავიხსენოთ 1918 წლის მოვლენები, 31 მარტის ქრონიკებს ბაქოში აზერბაიჯენელების გენოციდად მოიხსენიებენ და აღნიშნავენ როგორც ბოლშევიკების, ასევე სომეხი „დაშნაკების“ ბრალეულობას, რაც სიძულვილის ნარატივის კიდევ უფრო გამტკიცების საწინდარია. აქვე აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელების მხრიდან ამ ინცინდენტს, რასაც ემსხვერპლა უამრავი ეთნიკურად აზერბაიჯანელის სიცოცხლე, მოხსენიებულია უმოწყალო ქმედებად სომხების მხრიდან, რაც მოხდა არა მხოლოდ ბაქოში, არამედ სხვა ქალაბეში: ზანგეზური, განჯა, გუბა და ა.შ. ყოველივე ეს კი, კიდევ უფრო მწვავედ და მძაფრად არის აღწერილი აზერბაიჯანულ სახემლძღვანელოებსა თუ პუბლიკაციებში, რაც კიდევ უფრო აღრმავებს და ამწვავებს მათ აგრესიის ზღრუბლს სომხების მიმართ. ამ უწყვეტ ჯაჭვში კი, ნათლად ჩანს თაობათა ცვლაშიც სიძულვილის ნარატივი, რაც არ მცირდება.

აზერბაიჯანული ნაციონალიზმის აღზევების ხანაში, კიდევ უფრო ნათლად და თვალსაჩინოდ ვხედავთ კოლექტიური მეხსიერების როლს. სწორედ კოლექტიურ მეხსიერების საფუძველზე მოხდა ნაციონალისტური იდეოლოგიის ძირითადი ნაწილი ფუძისდება და მოხდა აზერბაიჯანის ისტორიის სოციალური რეპრეზენტირება, რამაც კიდევ უფრო გააღვივა პატრიოტული და ნაციონალისტური სულისკვეთება. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ჰეიდარ ალიევის პერიოდი, როდესაც ვხვდებით ტერმინს „აზერბაიჯანიზმი“, რაც იქცა საშინაო პოლიტიკის მთავარ ქვაკუთხედად და კიდევ

უფრო განამტკიცა აზერბაიჯანელების ნაციონალისტური იდეოლოგია, რომლის ლაიტმოტივიც მათი თავდადება, გმირული საქმეები, მათ მიერ გაღებული მსხვერპლი და ეროვნული სულისკვეთება იყო.

მთიანი ყარაბაღის მიკუთვნებულობის საკითხს, რომელსაც სომხები აქტიურად ამტკიცებენ თავიანთი ისტორიული ნარატივებით, აზერბაიჯანულ მხარეს აქვს თავისი არგუმენტირებლი პასუხი. მათი ისტორიკოსთა აზრით IV-VIII საუკუნეებში, ყარაბაღის ტერიტორია ეკუთვნობა ალბანეთს (არანს), ხოლო მისი მმართველი იყო ალბანელი და არა სომეხი. რაც შეეხება რელიგურ ფაქტორს - ქრისტიანობას, რომელსაც სომხები აქტიურად იყენებენ არგუმენტის სახით და ადასტურებენ ქრისტიანული ტაძრების არსებობებით, ამაზე აზერბაიჯანელებს ასევე არგუმენტირებული პასუხი აქვთ: ის რომ, ისევე როგორც სომხები, ალბანელებიც ქრისტიანული აღმსარებლობის არიან, შესაბამისად ტაძრების არსებობა არ წარმოადგენს ობიექტურ დასაბუთებას (მალაშხია 2011: 169).

ასევე დავის და განხილვის საგანს წარმოადგენს, ჰასან ჯალალის - ეთნიკურად სომხური წარმომავლობა, რასაც ასევე დარწმუნებით ამტკიცებენ სომეხი ისტორიკოსები. საპასუხოდ აზერბაიჯენელები ხაზს უსვამენ და აქცენტირებას ახდენენ განძასარის ეკლესიის კედელზე არსებულ სომხურ წარწერაზე: „მე, ჰასან ჯალალმა, ავაგე ეს ტაძარი ავგანკის ჩემი ხალხისთვის“ (მალაშხია 2011: 169). როგორც ვიცით, ავგანიკი ალბანეთის ერთ-ერთი ისტორიული სახელწოდებაა, შესაბამისად აზერბაიჯანელი ისტორიკოსების აზრით, მიუხედავად იმისა რომ ფასადზე არსებული წარწერა სომხურ ენაზეა შესრულებული, მათი აზით ჰასან ჯალალი ეთნიკურად ალბანელი იყო (მალაშხია 2011: 169).

აზერბაიჯანელების როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას წარმოადგენს აქტიური პროპაგანდა და იმ ნარატივის დამტკიცება, რომ ყარაბაღი წარმოადგენს აზერბაიჯანის ტერიტორიას, მის საკუთრებას და სომხეთმა მოახდინა როგორც ყარაბაღის ასევე 7 აზერბაიჯანული რაინონის ოკუპაცია, რაც საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. აქცენტირება ხორციელდება, სომხური შენაერთების მიერ აზერბაიჯანული ქალაქების ანექსიის მცდელობაზე, მათ ძალადობრივ ქმედებებზე, რომლის ერთ-ერთი განსაკუთრებული მაგალითსაც ქალაქ

ხოჯალოს ტრაგედია წარმოადგენს და ყოველ ჯერზე აზერბაიჯანელები მკაფიო აქცენტირებას ახდენენ ხოჯალოში სომხების მიერ განხორციელებულ სისასტიკეზე, რომელსაც უმარავი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა, მათ შორის ქალები და ბავშვებიც.

ყარაბაღის კონფლიქტში, ხოჯალოში განვითარებული მოვლენები წარმოადგენს ყველაზე დიდი მსხვეპლს, აზერბაიჯანული მხარისადმი. განსაკუთრებულ აქცენტირებას ახდენენ სომხების ქმედების სისასტიკესა და განუსაზღვრელობაზე, ასევე აღნიშნავენ რომ ამ ფაქტზე სომხეთი ან არ საუბრობს, ან არ სურს საუბარი და/ან თავიანთ მოქმედებებს სომეხ აჯანყებულებს მიაწერენენ, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და საერთო არ ჰქონია სახელმწიფო ქმედებებთან, ხოლო ეს ფაქტი მათივე თქმით წარმოადგენს სუმგაიტში არსებული მოვლენების საპასუხო ქმედებას.

დასტურად კი, აზერბაიჯანულ მხარეს ხშირად მოყავს სომეხი ოფიციალური პირების განცხადებები, როგორიცაა სერჟ სარქისიანის (სამხედრო მეთაური) განცხადება ხოჯალოს მოვლენებზე: „ჩვენ ამ საკითხზე დუმილს ვამჯობინებთ“ და იქვე დასძენს - „მთავარი ეს არ არის. ხოჯალის შემთხვევამდე აზერბაიჯანელებს ეგონათ, რომ ჩვენთან ხუმრობა და თამაში შეიძლებოდა. ფიქრობდნენ, რომ სომხები მშვიდობიან მოსახლეობაზე ხელს არ აღმართავდნენ. და იცით, რა მოხდა? - ჩვენ ეს სტერეოტიპი დავანგრიეთ. სხვათა შორის, იმ ბიჭებიდან ბევრი ბაქოდან და სუმგაიტიდან გამოქცეულია.“ (De Waal 2003:172). მსგავს ფაქტებს აზერბაიჯანი იყენებს სომხების, როგორც მოძალადეობრივი და არაჰუმანური რაობის წარმოასაჩენად.

ისევე როგორც პოლიტიკოსებისა, ოფიციალური პირების განცხადებებისა და მედიის აქტიური ჩართულობისა, მნიშვნელოვანია ხელოვნების წილიც კოლექტიურ მეხსიერებაში, რომელიც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ. აქაც ნიშანდობლივრია კინემატოგრაფიის როლი, რაც ხოჯალოს ტრაგიკული მოვლენებთან არის დაკავშირებული. ამ თემაზე არსებული ფილმები თავისთავად არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც გადის და ახდენს აღნიშული ნარატივის მასობრივ გადინებას, განმტკიცებას. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, ჯეიჰუნ მირზაევის - “Färyäd”, რომელიც ყარაბაღის ომისა და ხოჯალოს გენოციდზე მოგვითხრობს, ფილმში ასევე გამოყენებულია დოკუმენტური მასალა ხოჯალოში მომხდარი ფაქტების შესახებ. კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია ცემ ოგიუზის

(ფილმის დირექტორი)- „ლტოლვილი: ანარ იუსუბოვის გრძელი მოგზაურობა“. მოგვითხრობს 8 წლის ანარ იუსუბოვის ისტორიაზე, რომელიც იყო ხოჯალოს ტრაგედიის მონაწილე და რომელსაც არ შეუძლია დაბრუნება, საკუთარი წინაპრების მიწაზე. ასევე აღსანიშნავია 2012 წელს გადაღებული, ვაჰიდ მუსტაფაევის „Xoca“ - ფილმი მოგვითხრობს მთიანი ყარაბაღის პირველი ომის შესახებ.

კოლექტიურ მეხსიერებაზე ზემოქმედების უამრავი გზა არსებობს, რასაც აზერბაიჯანული მხარე საკმაოდ აქტიურად მიმართავს. აზერბაიჯანი მუდმივად აპელირებს და აფიშირებს საკუთარი პოტენციალის უპირატესობაზე, სამხედრო შენაერთების სიძლიერეზე, რესურსებზე და მზაობაზე, რომელიც აღემატება სომხეთისას, რაც უპირობო საწინდარია სომხეთის ძალისმიერი გზით დამარცხებისა, თუმცა აზერბაიჯანი არ მიმართავს ძალისმიერ გზებს, განსხვავებით სომხეთისგან და ცდილობს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, რაც კიდევ უფრო მეტად ამყარებს ქვეყნის ნარატივს. აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს სიახლეს არცერთი მხარისათვის, ისევე როგორც აზერბაიჯანი, სომხეთიც მუდმივად აპელირებს საკუთარი უპირატესობით მოწინააღმდეგის მიმართ, ნებისმიერ საკითხში.

არერთი სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, აზერბაიჯანში კოლექტიური მეხსიერების როლი საკმაოდ დიდია სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ ქორწინებსთან დაკავშირებული საკითხი, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯაში გამოკითხულთა 99% წინააღმდეგია აზერბაიჯანელი ქალის სომეხზე ქორწინების (Caucasus Barometer 2013), აღნიშნული დამოკიდებულება კი არ იცვლება, რისი დასტურის საშუალებასა 2011-2012 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები გვაძლევს, რომელიც იდენტური იყო 2013 წლის კვლევისა (Caucasus Barometer 2012; 2011).

რაც შეეხება ბიზნეს საქმიაობს, ასევე აზერბაიჯანში გამოკითხულთა 99% წინააღმდეგია სომეხთან ერთობლივი ბიზნესის წარმოებისა, კვლევის შედეგები ასევე წლების მიხედვით პრაქტიკულად უცვლელია, რადგან 2012 წელს მაჩვენებელი იყო 98% (Caucasus Barometer 2012, 2013). ასევე, პრაქტიკულად უცვლელია გამოკითხვის შედეგები საკითხზე, ვინ არის ქვეყნის მტერი? - სადაც გამოკითხულ აზერბაიჯანელთა

90%-მა სომხეთი დაასახელა 2013წელს, ხოლოდ 2012 წელს იმავე გამოკითხვაში აღნიშნული მაჩვენებელი იყო 91% (Caucasus Barometer 2012, 2013).

ასევე სიძულვილის ნარატივი შეინიშნება აზერბაიჯანული მხარის ყველა სფეროში, ეს იქნება ოფიციალური დოკუმენტაცია, საჯარო პირების მიერ გაკეთებული განაცხადები, გამოსვლები თუ ინტერვიუები. არაერთგზის ვაწყდებით სომხების, როგორც მტრად მოხსენიების შემთხვევებს. რაც შეეხება აზერბაიჯანის ეროვნული უსაფთხოების კონცეფციაც, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ დოკუმენტს წარმოადგენს, სომხეთი მოხსენიებულია აგრესორად, რომელიც ცდილობდა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მოპოვებაში ხელის შეშლას, რამაც გამოიწვია ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და დაახლოებით ერთი მილიონი აზერბაიჯანელის დევნილად ქცევა (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:4).

დოკუმენტში ასევე საფრთხის შემცველად არის დასახელებული სომხეთი, რომელიც ხელს უშლის აზერბაიჯანის სუვერენიტეტსა და ქვეყნის მთლიანობას. სომხეთის პოლიტიკა მიზანმიმართული ექსპანზიონიზმის შემცველია, რომელიც ხელს უშლის ქვეყნებს შორის მშვიდობას (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:5). აქვე აღნიშნულია სომხეთში არსებული ბირთვული სადგური, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე საფრთხეს უქმნის ენდემურ ლანდშაპტს, ფლორას და ფაუნას (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:7). კონფლიქტის დეესკალაციისა და მოგვარების საქმეში, დაყანებულია საკითხის აუცილებლობა, რომ სომხეთმა ოკუპირებული ტერტორიებიდან გაიყვანოს საკუთარი შენაერთები და მოხდეს ეთნიკური აზერბაიჯანელების საკუთარ მიწაზე დაბრუნება (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:8).

აქვე ნახსენებია ყარაბაღის საკითხი, რომ ის უნდა წარმოადგენს მაღალი ავტონომიის მქონე რეგიონს და შეადგენდეს აზერბაიჯანის საკუთრებას. აღწერილია აღნიშნული საკითხის მოგვარების გზები და აუცილებლობა (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:8). ამავე დოკუმენტში ხაზგასმულია ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის განცხადება, რომელამც დაგმო სომხეთის ქმედებები და მოიხსენია როგორც აგრესორი (National Security Concept of the Republic of Azerbaijan

2007:11). ასევე აღნიშნულია სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის მთავარი წინაღობა, რომელსაც სომხეთი წარმოადგენს და მის მიერ გატარებული მსგავსი პოლიტიკა, რაც ყოვლად მიუღებელია აზერბაიჯანის მხარისათვის, შემდგომი კონსენსუსის მხრივ (National Security Concept of the Republic of Azerbaijan 2007:12).

ახლა განვიხილოთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ეს არის სამხედრო დოქტრინა, სადაც აზერბაიჯანი სომხეთთან მიმართებაში მსგავს პუნქტებს აყენებს. ისევე როგორც წინარე დოკუმენტში, სომხეთი აქაც მოხსენიებულია აგრესორ და ავტორიტარიზმის მქონე სახელმწიფოდ, რუსეთთან ერთად - როგორც მისი მოკავშირე. აღნიშნულია ზერბაიჯანელების „ეთნიკური წმენდა“ და სომხეთის უარყოფითი როლი საგარეო ფაქტორების ჩამონათვალში, რომელიც აზერბაიჯანის უსაფრთხოებას გამუდმებით საფრთხე უქმნის. რაც შეეხება რუსეთს, განხილულია როგორც კონფლიქტის აღმოცენების მნიშვნელოვან საფრთხედ, რომელიც მხარს უჭერს სომხურ სეპარატიზმს, ახორციელებს მის სამხედრო შეიარაღებას და მხარდაჭერას უცხადებს სომხეთის მიერ სამხედრო აქტივობებს აზერბაიჯანის მიმართ (The Center of Military Analyses and Research 2012).

როგორც ვიცით კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში თითქმის ყველა სფერო იღებს მონაწილეობას. აქვე აღსანიშნავია ისტორიული ძეგლები, ეს იქნება შენობა-ნაგებობები, მონუმენტები, მემორიალები თუ სხვა, რომლის ნათელ მაგალითს წარმოადგენს აზერბაიჯანში არსებული გენოციდის მემორიალური კომპლექსი, რომელიც 2009-2013 წლებში აშენდა და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კოლექტიური მეხსიერების მუდმივ კვლავწარმოქმნასა და გამყარებაში, რომლიც სიმბოლური დატვირთვისაა და აღწერს აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისათვის გაღებულ მსხვერპლს. ქალაქ შუშაში 1991 წელს დაარსებული ყარაბაღის ისტორიული მუზეუმი, ასევე წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერების განმტკიცების წყაროს, რომელიც ოკუპაციის შემდეგომ აღარ ფუნქციონირებს, მათივე თქმით მიზანმიმართულად იქნა განდაგურებული მუზეუმში არსებული ექსპონატების უმრავლესობა. თუმცა მეორე მხრივ ის თავის ფუნქციას კვლავ ასრულებს, როგორც დასტური იმისა, რომ ისტორიული მემკვიდრეობა, ოკუპაციას ემსხვერპლა. აღსანიშნავია 1919 წელს დაარსებული დამოუკიდებლობის მუზეუმიც, რომელშიც

მოთხრობილია აზერბაიჯანის ისტორია XXIX საუკუნემდე და შემდგომ და აზერბაიჯანის ისტორიის ეროვნული მუზეუმი, თითოეული მათგანი განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის სულისკვეთებასა და ნაციოლიზმის გამტკიცებაში.

კოლექექტიურ მეხსიერებაში, არაერთხელ ავღნიშნეთ ხელოვნებისა და სპორტის როლი. აღნიშვნის ღისია მუსიკალური კონკურსი ევროვიზია, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად მოიცავს ევროპის ქვეყნებს. კონკურსის წესებიდან გამომდინარე, გამარჯვებულის გამოვლენა ხდება ქულებით, რომელსაც სხვა სახელმწიფოები ანიჭებენ ერთმანეთს, ქვეყნის შიდა ხმის მიცემის სისტემით. ამ მხრივ აღსანიშნავია სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, რომლებიც გარდა იმისა რომ პაექრობენ, ერთმანეთს ქულას ან პრაქტიკულად არ ანიჭებენ, ან უმცირეს ქულას გადასცემენ. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში 2009 და 2013 წლებში აზერბაიჯანში დაიწყო გამოძიება, თუ ვინ მისცა სომხეთს ხმა რადგან ამ ადამიანების ქმედება შეფასდა როგორც ანტისახელმწიფოებრივი, რომელსაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვა ევროპის სამაუწყებლო კავშირის მიერ, მან დაგმო აზერბაიჯანის ქმედება და მოუწოდა კონსტრუქციულობისკენ, რადგან დარღვეულ იქნა ხმის მიცემის კონფიდენციალურობის პოლიტიკა (Eurovision 2013).

სპორტი- აზერბაიჯანულ კოლექტიურ მეხსიერებაში ასევე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. სპორტის თითქმის ყველა სახეობაში, ორივე მხარის წარმომადგენლებისგან საკმაოდ ნათლად შესამჩნევია სიძულვილის შემცველი ნარატიები. აზერბაიჯანის მიერ განსაკუთრებულ ყურადღებას და დაფასებას ღებულობს სპორტსმენი, ან სპორტსმენთა გუნდი, რომელიც „მტრის ხატის“ მქონე მოწინააღმდეგეს დაამარცხებს. ძალიან კარგ მაგალითს, სპორტის კოლექტიური მეხსიერებისათვის გამოყენების აქტს წარმოადგენს საფეხბურთო კლუბი „ყარაბაღი“ რომელიც სრულად აზერბაიჯანული კლუბია და ქალაქი აგადამიდან მოდის მისი დაარსების ისტორია, რაც შესანიშნავი საშუალებაა რომ ყარაბაღის აზერბაიჯანისადმი საკუთრება ნათლად დაანახოს მთელს მსოფლიოს. საფეხბურთო კლუბი ყარაბაღი 2017 წელს უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, რითაც კიდევ უფრო ფართო აუდიტორიებს მიაწვდინა თავისი სათქმელი.

სომეხი ერის კოლექტიური მეხსიერება და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი

რაც შეეხება სომხებში მუსირებულ კოლექტიურ ნარატივს, ეს წარმოადგენს „ჩაგრულის სტატუსის“ მტარებელს. მათივე თქმით: „ ისინი წარმოადგენენ ლოიალურ ხალს, რომლებიც მუდამ მტრებით იყვნენ გარშემორტყმულნი და გაწამებული“. რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელს მათ ნარატივს და აღწერს, თუ როგორ აღზევების ხანაში ცხოვრობდნენ, რომელიც მუდმივი მტრების შემოტევის გამო შეწყდა, ისინი იყვნენ გამუდმებითი აგრესიის მსხვერპლი, გამოაირეს უამრავი ტანჯვა-წამები, ასევე აღმატებით ხარისხში წარმოაჩენდნენ სარწმუნებოს და თვლიდნენ რომ სარწმუნოებისადმი მტკიცე, ურყევი დამოკიდებულება იყო მათი გამარჯვების საწინდარი და პირიქით. (Garagozov 2005: 54).

მათი აღნიშნული ნარატივის ძირითად ქვაკუთხედს და პირველწყაროს წარმოადგენს 1915 წლის მოვლენები, როდესაც მოხდა სომხების გენოციდის აღიარება. ამასთან მოხდა რელიგიურ ასპექტზე ყურადღების გამახვილება და ხაზგასმა, ის რომ ქრისტიანი სომხები გარშემორტყმულნი არიან მუსლიმური აღმსარებლობის ქვეყნებით და განიცდიან მუდმივ შევიწროებას (Garagozov 2006:152). ეს მოვლენები ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა თურქეთის მიმართ მტრულ და სიძულვილით განმსჭვალული დამოკიდებულების საწინდარს, ხოლო აზერბაიჯანის თურქეთთან მსგავსების - კულტურული, ენობრივი და სხვა ბევრი მახასიათებლების გათვალისწინებით, გაიგივებულ იქნა მათთან, რაც ერთ-ერთი საწინდარია მსგავსი მტრული დამოკიდებულების.

რელიგიურ მოტივებზე არსებული საკითხი არ წარმოადგენს ახალს და მას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. როგორც ვიცით სარწმუნოებას ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა ნებისმიერი აღმსარებლობის მქონე სახელმწიფოებში. აღსანიშნავია სომხური ეკლესიის მიერ არსებული ნეგატიური შეხედულება ყველა სხვა კონფესიის წარმომადგენლების მიმართ, რაც როგორც წესი „სიძულვილის ნარატივის“

მტარებელია. XXVIII-XX საუკუნეებში აქტიურად ხდებოდა აღნიშნული ნარატივის პროპაგანდა, სხვადასხვა საშუალებებით. XIX საუკუნეში, რომელიც შეგვიძლია ნაციონალიზმის აღზევების ხანად მივიჩნიოთ, მოხდა გარკვეული მოდიფიკაცია და ტერმინი „სომხური რწმენა“, შეცვალა „სომეხმა ხალხმა“ ან „სომეხმა ერმა“ (Garagozov 2006:151). ყოველივე ზემოთ აღნიშნული, შერწყმა რელიგიისა და ნაციონალიზმის, აყალიბებს ახალ ტერმინს და გამოიხატება როგორც - ჩვენ და მათ.

რაც შეეხება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს, როდესაც აღნიშნული ტერიტორიის საკუთრებასთან დაკავშირებით დგება საკითხი, სომხური მხარეს თავის არგუმანეტებს ამყარებს ისტორიული ფაქტებით, რომ ძვ. წ. II საუკუნეში ყარაბაღი „დიდი სომხეთის“ თხუთმეტი პროვინციიდან ერთ-ერთად ითვლებოდა-არცახის ნაწილი. მთიანი ყარაბაღის ტერიტორია დაახლოებით IV საუკუნის მანძილზე სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ მოგვიანებით მოხდა დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილის დაკარგვა, მათ შორის ყარაბაღის. სომხების მტკიცებით კი, მიუხედავად ტერიტორიის დაკარგვისა სომხური ისტორია და კულტურა უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდა აღნიშნულ მიწებზე არსებობას, რის გასამყარებლადაც ასევე ქრისტიანული ტაძრების არსებობას ასახელებენ, სხვა ფაქტორებთა ერთად.

კონფლიქტთან დაკავშირებით, სომხეთში ყოველთვის საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბება და გავრცელება, რასაც ხელი შეუწყო ისტორიული ფაქტების ხშირმა პროპაგანდამ და სახელმძღვანელოებში იმის ხშირმა აპელირებამ, რომ სომხეთი წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფოს და „დიდი სომხეთის“ შემადგენლობაში შედიოდა უამრავი ტერიტორია, ხაზგასმულია მთიანი ყარაბაღიც. ამის საუკეთესო მაგალითს წაროადგენს წიგნი „მთიანი ყარაბაღი: ისტორიული ინფორმაცია“ რომელიც სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აკადემიის მიერ მომზადდა და გამოიცა 1988წელს (Garagozov 2006:152).

გრაზგოვის ანალიზის მიხედვით, აღნიშნულ სახელმძღვანელოში ქრონოლოგიურად საკმაოდ კარგ ჩანს სომხური ნარატივის მიმდევრობა. მთიანი ყარაბაღის უძველესი ისტორია და პერიოდი 1917 წლის შემდგომ. შესაბამისად კარგად არის წამროჩენილი სომხური ნარატივის განვითარების ქრონოლოგია, დიდების ხანიდან სარწმუნოების სიმტკიცემდე. პირველ ნაწილში ასახულია, მათი დიდება და

აღზევება, მეორე ნაწილში კი სარწმუნოებისადმი ერთგულება წარმოადგენს მათი გამარჯვების საწინდარს (Garagozov 2006:153).

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება, თუ რამდენად ფართო მასებს მოიცავს ინფორმაცია. ამ მხრივ აღსანიშნავია მეცნიერ-მუშაკებისა და ჟურნალისტების როლი, რომელთა სტატიები და დასკვნების საფუძველზე, სომეხ ხალხში სულ უფროდაუფრო მყარდებოდა აზრი, რომ აზერბაიჯანმა სომხეთს წაართვა ტერიტორია, რომელიც მათ ისტორიულად ეკუთვნოდა და სასტიკად გაუსწორდა იქ არსებულ ეთნიკურ სომხებს. გარდა ამისა, საკმაოდ ბევრ ჟურნალისტს, თუ ავტორს შევხვდებით რომლებიც მომხრე იყვნენ ყარაბაღის სომხეთთან შეერთების, რომლის თვალსაჩინო მაგალითია სომეხი ჟურნალისტის ზორი ბალაიანის სტატიები, 1984 წელს მან გამოაქვეყნა სტატია, სახელწოდებით „ოჩაგ“ სადაც ყვებოდა თავის მოგზაურობას სომხეთის მიწებზე, ნახიჭევნისა და აზერბაიჯანის ანკლავი კი მოიხსენია როგორც სომხეთის ტერიტორიები და აზერბაიჯანელებს მტრები უწოდა (De Waal, 2003: 143), რასაკვირველია ამას აზერბაიჯანის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა.

XIX საუკუნეში, როდესაც სომხეთში ნაციონალიზმის კიდევ უფრო წინაწამოწევა ხდება, საერო მოღწვაწეები ახდენენ ეკლესიის მიერ შექმნილი ნარატივის გაგრძელებას, შეიქმნა ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის ნაშრომები, რომლებიც ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტებს იყენებენ მხოლოდ მცირე მოდიფიკაციით, რომელიც შეესაბამება ნაციონალიზმის ეპოქას (Garagozov 2005: 55).

ისევე როგორც აზერბაიჯანის კოლექტიური მეხსიერების დროს, საჭიროა განვიხილოთ გარკვეული კვლევები, რომელიც ჩატარდა სომხეთში და გვაჩვენებს სომხურ კოლექტიურ მეხსიერებას. 2007 წელს სომხეთში ჩატარდა კვლევა, რომელიც მოიცავდა კითხვებს ყარაბაღსა და აზერბაიჯანზე, გამოკითხულთა 89% აღნიშნავდა, რომ სომხეთისათვის ყველაზე დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური საფთხის შემცველი ქვეყანა არის აზერბაიჯანი (Armenian General Public Opinion Survey 2007: 29). კვლევაში, თუ ვინ არის ქვეყნის მთავარი მტერი, მაჩვენებლები შემდეგნაირად იცვლება 2013წელი - 66%-ს მიაჩნდა აზერბაიჯანი, ხოლო 2015-2017 წლებში ეს მაჩვენებელი 76%-მდე გაიზარდა (Caucasus Barometer Armenia 2013, 2015, 2017). მოსახლეობის 64-77%

ყარაბაღის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას აფიქსირებს (Armenian General Public Opinion Survey 2007: 30). თითქმის ყველა კვლევაში, მოსახლეობის უმეტესობა თვლის რომ ყარაბაღი უნდა იყოს სომხეთის რეგიონი, ავტონომიის გარეშე, ნაწილი ავტონომიით, ხოლო არცერთი რესპოდენტი არ ამბობს რომ ყარაბაღი უნდა იყოს აზერბაიჯანის შემდგენლობაში (Armenian General Public Opinion Survey 2007: 31). კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას, მხარს უჭერს გამოკითხულთა 78-86% (Armenian General Public Opinion Survey 2007: 32).

იმავე თანმიმდევრობით განვიხილოთ, ქორწინებისა და ბიზნესის კეთების კვლევები. თუ გადავხედავთ წლების მიხედვით დინამიკაში სულ უფრო იზრდება ერთობლივი ბიზნესის წარმოების მოწინააღმდეგეების რიცხვი და მცირდება მომხრეების პროცენტული მაჩვენებელი. 2013 წელს გამოკითხულთა 76% იყო წინააღმდეგი აზერბაიჯანელთან ერთად ბიზნესის წარმოების, ხოლო 22% თანახმა. 2015 წელს 79% წინააღმდეგი, 18% თანახმა. 2017 წელი 83% წინააღმდეგი, 16% თანახმა (Caucasus Barometer Armenia 2013, 2015, 2017). რაც შეეხება ქორწინებას 2015 და 2017 წლებში პრაქტიკულად ერთნაირი მაჩვენებლები გვხდება 94% წინააღმდეგია სომეხი ქალის აზერბაიჯანელზე ქორწინების, 5% თანახმა (Caucasus Barometer Armenia 2015, 2017).

ისევე როგორც აზერბაიჯანში, სომხური კოლექტიური მეხსიერების შენარჩუნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტორიულ ძეგლებს, შენობა-ნაგებობებს, მონუმენტებს, მუზეუმებს და სხვა. ასეთია სომეხთა გენოციდის მემორიალის კომპლექსი (1967წ), დღემდე ყოველ 24 აპრილს აღინიშნება სომეხთა გენოციდის მოსაგონარი დღე, რომელსაც სახალხო ხაიათი აქვს, მემორიალთან შეკრებით და პატივის მიგებით. 1995 წელს ასევე გაიხნსა გენოციდის მუზეუმ-ინსტიტუტი. ასევე აღნიშვნას იმსახურებს, სომხეთის რევოლუციური ფედერაციის ისტორიული მუზეუმი, რომელიც პარიზიდან 2007 წელს სომხეთში გადმოიტანეს, სადაც სომხეთის პირველი რესპუბლიკის ისტორიაა წარმოადგენილი. აქვე ვხვდებით პატრიოტულ-ნაციონალური სულისკვეთების გენერალ ანდრანიაკის მუზეუმს და უამრავი სხვა.

ისევე როგორც აზერბაიჯანის შემთხვევაში, კინემატოგრაფია ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სომხების მიერ კოლექტიური მეხსიერების განმტკიცებაში. ყარაბაღის ომთან დაკავშირდებით, რამდენიმე დოკუმენტური ფილმი იქნა გადაღებული, სადაც აზერბაიჯანი აგრესორად არის წარმოჩენილი. იმის გათვალისწინებით, რომ სომხური დიასპორა საკმაოდ დიდია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ასევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კოლექტიურ მეხსიერებაში.

სომხეთის უსაფრთხოებისა და სამხედრო დოქტრინებს, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოლექტიური მეხსიერების განმტკიცებასა და გავრცელებაში, სადაც აღწერილია რომ აზერბაიჯანი წარმოადგენს აგრესორს, ახდენს ყარაბაღის მითვისებას და წარმოადგენს სომხეთისათვის საფრთხის შემცველ სახელმწიფოს, რომ ის კონფლიქტის გადაჭრას მხოლოდ ძალისმიერი გზებით ცდილობს (Republic of Armenia National Security Strategy 2007: 10). აქვე აღნიშნულია აზერბაიჯანის ქმედება, სომხეთი რეგიონული განვითარების პროგრამიდან გამოყოფის საკითხზე, რომ აზერბაიჯანს აქვს გარკვეული პოლიტიკური ღონისძიებები, რის საშუალებითაც ცდილობს სომხეთი რეგიონული თანამშრომლობის პროექტებს ჩამოაშოროს, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მათი მხრიდან მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მზაობის არქონაზე (Republic of Armenia National Security Strategy 2007: 4).

სამხედრო დოქტრინაში აღწერიალია, აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის მოსახლეობაზე სამხედრო აქტივობები, რითაც ახდენენ მშვიდობიან მოსახლეობზე ზეწოლას და უზღუდავენ იურიდიულ უფლებას თვითგამორვევის შესახებ, მუდმივად ცდილობენ კოფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრას (Military Doctrine of the Republic of Armenia 2007: 2). აზერბაიჯანის სურვილი სამხედრო უპირატესობის მოპოვებზე, რაშიც მას ხელს უწყობს თურქეთი და ეს ორი სახელმწიფო ცდილობს მათ ბლოკადაში მოქცევას (Military Doctrine of the Republic of Armenia 2007: 4).

განსაკუთრებული განსხავავების გარეშეა, ხელოვნებისა და სპორტის როლი სომხების კოლექტიურ მეხსირებაშიც. სომხები განსაკუთრებული მოდომებით ცდილობენ უპირველესის და საუკეთესოს წარმოჩენას, არსებული ნარატივების გატარებას. იმავე ევროვიზიას რომ შევეხოთ, 2010 წელს საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული გახდა სომხეთი და მათი თქმით, აზერბაიჯანში არ მომხდარა

აღნიშნული სიუჟეტის ტრანსლირება, რათა სომხეთის უპირატესობა არ გამოჩენილიყო. 2012 წელს კი აზერბაიჯანმა უარი თქვა კონკურსში მონაწილეობაზე, რადგან ის სომხეთში ჩატარდა (BBC 2012). 2015 წელს სომხეთის წარმომადგენლის მიერ შესრულებული სიმღერა გენოციდს ეძღვნებოდა, პროგრამის დასასრულს დემონსტრაციულად ყარაბაღის დროშა აღმართეს, რაც ღია მესიჯს წარმოადგენდა, რის გამოც კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნა მიიღეს (Euronews 2016).

იგივე ეხება სპორტსაც, მუდმივი პაექრობა და კონკურენცია, ხოლო ძალისმიერ სპორტში კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს აღნიშნული ფაქტი, რადგან ხდება ძალების გადამეტება. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე 19 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მატჩზე, ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლებსა და გულშემტკივრებს შორის შეხლა-შემოხლა გაიმართა. ისევე როგორც აზერბაიჯანში, სომხეთში რომლის მტერს აზერბაიჯანი წარმოადგენს, ორმაგად დაფასებულია სპორტსმენი ან სპორტსმენთა გუნდი, რომელიც „მტერზე“ გაიმარჯვებს, ის განსაკუთრებულ ყურადღებას და წახალისებას იმსახურებს, რაც ერთმნიშვნელოვნად ზრდის ნეგატიურ ნარატივს.

ყოველივე ზ/ა გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლექტიური მეხსიერებას სომეხ ხალხში საკმაოდ მყარად აქვს ფესვები გადგმული. მათ წარმოდგენაში აზერბაიჯანელები არიან აგრესორები, მტრები და მოკავშირეებთან ერთად ახდენენ სომხეთის შევიწროებას. ეს არ წარმოადგენს მხოლოდ თანამედროვე შეხედულებას, დასაბამს შორეული წარსულიდან იღებს და მნიშვნელოვნად ამცირებს ამ ორი სახელმწიფოს შორის მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარებას.

ყოველივე ეს არის ამ ორი სახელმწიფოს/ერის კოლექტიური მეხსირება.

თავი II

მარნნეულში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ფონზე

2.1 მარნეული ისტორიულ გეოგრაფიული მდებარეობა და ეთნიკური შემადგენლობა

მარნეულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის რეგიონში. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ესაზღვრება გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დასავლეთიდან თეთრიწყაროს და ბოლნისის მუნიციპალიტეტები,ხოლო სამრეთიდან სომხეთი და აზერბაიჯანი. გეოგრაფიულად მარნეული სამ ფიზიკურ უბანად იყოფა. აღმოსავლეთ რეგიონის ნაწილი გამოყოფილია დანარჩენი მუნიციპალიტეტისგან იალუჯას ქედით და დომინირებს მშრალი ლანდშაფტი. რეგიონის ცენტრალური ტერიტორია გადაჭიმულია მარნეულის პლატოზე, იკვებება სამი მდინარებით: ალგეთი, ხრამი (ქცია) და დებედა. სამხრეთ-დასავლეთტერიტორიაზე დომინირებს ტყიანი მთები. მარნეულის მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ზონად. პირველი ზონა შედგება ქალაქ მარნეულისა და მის მიმდებარე სოფლებისგან. ქალაქი მარნეული წარმოადგენს ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ცენტრს. იგი მდებარეობს მუნიციპალიტეტისჩრიდლოეთ ნაწილში. ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის ორი დიდი სოფელი, სარვანი და ჯანდარი. დასავლეთიდან ქალაქი მარნეული გარშემორტყმულია აზერბაიჯანელებით დასახლებული დიდი სოფლით, რომელსაც ყიზილაჯლო ჰქვია. აღმოსავლეთით კი ესაზღვრებაეგრედ წოდებული ალგეთის ზონის სოფლები, კერძოდ ალგეთი, საბირკენდი, ტაზაქენდი, აზიზკენდი და ჰაჯისაკენდი. სამხრეთ-დასავლეთიდანმარნეულს ესაზღვრება აზერბაიჯანული პატარა სოფელიალვარი, თამარისი სადაც ძირითადადდასახლებულნი არიან იმერეთისა და სვანეთის რეგიონებიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები დაახალი დიოკნისი რომელიც დასახლებულია მთიანი აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებით. მარნეულის მოსახლეობის უმეტესობას ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობა წარმოადგენს ხოლო ქართველები უმცირესობაში არიან. დასახლებების მეორე ზონას წარმოადგენსსაქართველოს და სომხეთს შორის დამაკავშირებული მაგისტრალის გასწვრივ არსებული დასახლებები. ეს ზონა იწყება აზერბაიჯანელებით დასახლებული სოფლებით დიდი ბეგლარითა და პატარა ბეგლარით. (Aleksandre Kvakhadze - Georgia's Fertile Crescent: Marneuli Municipality)

აზერბაიჯანული და სომხური დასახლება ძირითადად სარკინიგზო ზოლში არსებულ დასაცლებებში ცხოვრობს. მატარებლის სადგურის და მატყლის ქარხნის ეკონომიკური მნიშნელობის გამო აქ დასახლებები საბჭთა დროიდან შეიქმნა. ზემოთხსენებულ ზენაში შედის შემდეგი სოფლები: ახლომამუდლო, არაპლო, იენიკენდი, სეითოჯალო, ზემო სარალი, ქვემო სარალი, იმირი და აჭარიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტების სოფელი მარეტი. შულავერთან აღმოსავლეთით გვხვდება აზერბაიჯანული სოფლები ზემო კულარი, ქვემო კულარი, კირხილო, დაშტაფა, სომხური დასახლებები: წითელისოფელი, ბუდიონოვკა და კვლავ აჭარლებით დასახლებული სოფელი მარადისი. ეს ზონა სამხრეთით მთავრდება აზერბაიჯანულისოფლებით ახლო-ლალალო, დამია-გეოარხი და კიროვკა (ალტერნატიული სახელი მამიი) და პატარა სომხური სოფლით დამია. სოფლების მესამე ზონა გავრცელებულია მდინარეების ხრამისა და დებედას გასწვრივ. აქ მდინარე ხრამის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობსაზერბაიჯანულიდასახლებები: მუღანლო, კურტლარი, ბაიდარი, ლეჟბადინი, ხუტორ ლეჟბადინი და დოლისყანა. სოფელი კაჭაგანი, თეკალო, ხანჯიღაზლო, კირეჩ მუღანლო, კასუმლო, აღამამედლო, ულაშლო, ბეითარაპჩი, კუშჩუ და ბაიათლო მდებარეობს მდინარე დებედასა და ბაბაქარის მთიან ზონას შორის. სოფლების მეოთხე ჯგუფი მდებარეობს თბილისთან დამაკავშირებელი მაგისტრალის გასწვრივ ტერიტორიაზე საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო პუნქტი, რომელიც ცნობილია წითელი ხიდის სახელით. სოფლები ეს ტერიტორიაა: ამბაროვკა, კეშალო, ილმაზლო, პირველი კესალო, მეორე კესალო, კაპანახჩი. საავტომობილო გზის დასავლეთით, შულავერისწყლის ხეობაში მდებარეობს დაბა შაუმიან, აჭარელი ეკომიგრანტებით დასახლებული სოფელი ხიხანი, ახკულა, (აზერბაიჯანული) სიონი და წერაქვი (ქართული). სოფლების შემდგომი მტევანი მდებარეობს საქართველო-სომხეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე. საქართველოში ერთ–ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სოფელი სადახლო, რომელიც გარშემორტყმულია აზერბაიჯანული სოფლებით თაზაქენდუ, ბურმა, ქულდარა.ე.წ. მთიანი ზონის სოფლებიაწოფი (სომხური აზერბაიჯანული), გულიბაღი (სომხური), ხოჯორნი (სომხურ-აზერბაიჯანული), ოპრეთი (ბერძნული), ჩანახჩი (სომხური) და ახკერპი (სომხური).

საბჭოთა კავშირის პერიოდში მარნეულის მუნიციპალიტეტი იყო სოფლის მეურნეობის დარგში საქართველოს სსრ-ის წამყვანი რაიონი. აქ ე.წ. კოლმეურნეობებში დიდი რაოდენობით იწარმოებოდა თამბაქო, ბოსტნეული, მარცვლეული და ხილი. ასევე დიდი ადგილი ეჭირა მეცხოველეობას. კარგად იყო ჩამოყალიბებული სამესაქონლეო სექტორი, ადგილობრივი საძოვრები იალღუჯას ქედიდან ბაბაქარის მთებამდე ვრცელდებოდა საზაფხულო საძოვრები კი მარნეულის მოსახლეობას ჩრდილოეთ მთიან სომხეთში ჰქონდა. მარნეულს ასევე ჰქონდა კარგად განვითარებული ინდუსტრია. საკვანძო სამრეწველო ობიექტებს შორის იყო შულავერის მატყლის ქარხანა, მარცვლეულის საცავი ბაზები ქალაქ მარნეულში და დიდი სამრეწველო საწყობი ყიზილაჯლოში.გარდა ამისა, რეგიონში ფუნქციონირებდა სხვადასხვა ზომის ტექსტილის, ნაყინის, ღვინისა და სამშენებლო მასალების ქარხნები.

დღეს მარნეულის ეკონომიკის ძირითადი სექტორი ვაჭრობაა ამისმთავარი ხელშემწყობი რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიულიადგილმდებარეობაა, რომელიც ემსახურება რამდენიმე რეგიონალური და საერთაშორისო გზაჯვარედინს. საერთაშორისო მაგისტრალები და დედაქალაქთანსიახლოვე მარნეულს მნიშვნელოვან სავაჭრო ეკომონიკურ კერად აქცევს.მარნეულში არის საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი საბითუმო ბაზარი, რომელიც თავად ქალაქ მარნეულში მდებარეობს. აქ არის როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტი, ასევე ტანსაცმელი. ამ კონკრეტულ ბაზარში დომინირენებ სოფელ ქიზილაჯლოს მაცხოვრებლები .

სამი ათწლეულის განმავლობაში მარნეულის მუნიციპალიტეტშიდამატებით ორი მნიშვნელოვანი ბაზარი არსებობდა. პირველი იყო კასუმლოში,საქართველო-სომხეთის საზღვართან ახლოს. ეს ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ბაზარი იყო რომელიც დიდ როლს ასრულებდა რეგიონში.

მეორე ბაზარი 2004 წლამდე ფუნქციონირებდა სადახლოში, ასევე სომხეთ-საქართველოს საზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ეს ბაზარი უდიდეს მნიშვნელობას იძენდა აზერბაიჯანულ და სომხურ მოსახლეობას შორის ურთიერთობის სტაბილიზაციის კუთხით. ამ ბაზარზე დიდი რაოდენობით იყიდებოდა სომხეთიდან შემოსული კონტრაბანდული საქონელი. სადახლოს ბაზარი

ახლაც ფუნქციონირებს მაგრამსაგადასახადო რეფორმების ფარგლებში 2004 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის დროს ბაზრის ძირითადი ნაწილი დაიხურა .

სადახლოს დიდი საბითუმო ბაზრის გარდა, მის მიმდებარე არსებულ სატრანზიტო გზის ტერიტორიაზემრავალი სავაჭრო ადგილი ფუნქციონირებდა. ახლაც საქართველოს-სომხეთთან დამაკავშირებელ მაგისტრალზე უამრავი ბაზარიასადაც ძრითადად სარეცხი საშუალებები იყიდება. ამ ბაზრებს ძირითადად აზერბაიჯანელები და სომხები ფლობენ.

როგორც ერთმა ადგილობრივმა მკვიდრმა განმარტა:

"აქ სარეცხი საშუალებები უფრო იაფია ვიდრე სომხეთში. სომხეთის სახელმწიფო ნომრებით სატვირთო ავტომობილების „ტრაილერების" მძღოლები ამ სარეცხ საშუალებებს აქ ბევრს ყიდულობენ და შემდეგ სომხეთში ყიდიან. ".[3]

„მუნიციპალიტეტში 18 დასახლებული პუნქტია, სადაც 2014 წლის მონაცემებით 104 300 ადამიანი ცხოვრობს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 22,3% ქალაქსა და დაბაში ცხოვრობს, დანარჩენი სოფლებში. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 111,5 კაცი/კმ². მუნიციპალიტეტში 78 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 1 დაბა და 75 სოფელი. დიდი სოფლებია: სადახლო, ყიზილ-აჯლო, ალგეთი, საბირქენდი, ქეშალო. არის როგორც მონოეთნიკური, ასევე შერეული სოფლები. აზერბაიჯანული მოსახლეობის უმრავლესობა შიტია, უმცირესობა სუნიტი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 35 მეჩეთია.

ქალაქი — 1: მარნეული; თემი — 15: ალგეთის თემი, ახქერფის თემი, დამია-გიაურარხის თემი, თამარისის თემი, კასუმლოს თემი, წერეთლის თემი, ოფრეთის თემი, სადახლოს თემი, ქაფანახჩის თემი, ქურთლარის თემი, ყაჩაღანის თემი, ყულარის თემი, შულავერის თემი, წერაქვის თემი, ხოჯორნის თემი, წერაქვის თემი, შაუმიანის თემი.".[4]

[3]Georgia's Fertile Crescent: Marneuli Municipality. A. Kvakhadze 2021
[4]მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

მარნეულის მუნიციპალიტეტში განთავსებულია 72 საჯარო და ორი კერძო სკოლა. სკოლების რაოდენობა განათლების ძირითადი ენის მიხედვით შემდეგია: აზერბაიჯანული - 42 სკოლა, 8 ქართული, 7 სომხური, 3 რუსული, 4 ქართულ-აზერბაიჯანული, 3 ქართულ-რუსული, 2 აზერბაიჯანულ-რუსული და 2 სომხურ-აზერბაიჯანული.

2.2 მარნეული ეთნიკურად სომეხი და აზრბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულება

ჩვენი კვლევის საკითხიდან გამომდინარე ნაშრომის მეორე თავი შეეხება მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ საქართველოს მოქალაქეებს.

მოგეხსენებათ რომ ნაშრომის პირველი თავი ეხება სომხურ აზერბაიჯანულ ეთნოკონფლიქტის განხილვას მთიან ყარაბაღში.

ნაშრომის მეორე თავში შევეცდებით ნათლად გამოვკვეთო ის ასპექტები რითაც არის განპირობებული ეთნიკური უმცირესობების მშვიდობიანი თანაცხოვრება მარნეულის მუნიციპალიტეტის სომხურ და აზერბაიჯანულ შერეულ დასახლებებში, იმ

---

https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98

მარუაშვილი ლ. (1964). საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (საქართველოს სსრ ბუნებრივი პირობების ზოგადი დახასიათება და რეგიონული აღწერილობა). თბილისი, საქ.: ცოდნა, გვ. 264-266

დროს როცა მათი ერები ერთმანეთთან უმოწყალო ბრძოლაში არიან ჩაბმულნი ზემოთხსენებული არეალიდან სულ რაღაც 300 კილომეტრის მოშორებით.

2021 წლის 15 მარტიდან 25 ივნისამდე მიმდინარეობდა კვლევა სამაგისტრო ნაშრომისათვის სადაც გამოყენებული იქნა როგორც პირადი ინტერვიუ ასევე ღია კითხვარები. კვლევის პროცესში გამოიკითხნენ ადგილობრივი რესპოდენტები. რესპოდენტების 50% ეთნიკარად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე და 50% ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეა. ასევე ობიექტურობისათვის ქვემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უშუალო ინტერიუს მეთოდით ვესაუბრეთ ექსპერტ გელა ვასაძეს და ქვემო ქართლის რეგიონის მკვლევარს ალექსანდრე კვახაძეს.

ნარატიული წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იკვეთება სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში მოსახლეობის მხრიდან ეთნიკური ურთიერთზიზღი და უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება. კვლევის ინტერესს წარმოადგენდა რამდენად აისახა აღნიშნული დამოკიდებულება მარნეულსი მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის.

მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებულ შერეულ სომხურ და აზერბაიჯანულ დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა ათწლეულების განმავშობაში მშვიდობიანად თანაცხოვრობს. მათი ყოველდღიური ცხოვრების სტილი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ორივე ეთნიკური ჯგუფი ამ რეგიონში ძირითადად სასოფლო სამეურნეო ცხოვრების წესს მისდევს. მათმი სამეურნეო სავარგულები და საძოვრები ერთ არეალში აქვთ.

ფერმერული ცხოვრების სტილიდან გამომდინარე მათი შემოსავლის წყარო აგრარული ვაჭრობაა. რეგიონში არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტები და მათთან არსებული ეკონომიკური ცენტრები (ბაზრობები, მაღაზიები) მათი ცხოვრებაში სასიცოცხლო როლს ასრულებს.

გამოკითხული იქნა 18-70 წლამდე ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე. გამოკითხული რესპოდენტები შერჩეულნი იქნენ შემთხვევითობის პრინციპით, შერეული სომხურ-აზერბაიჯანულ დასახლებებში. გამოკითხულთა 95% აღნიშნავს რომ აქტიურად ადევნებდა თვალს მთიანი ყარაბაღის

ომებს და რამდენიმე მათგანს პირადი მონაწილობაც აქვს მიღებული 1987 წლის პირველ დაპირისპირებაში. ასევე გამოკითხულთა ნაწილს ჰყავს ომით დაზარალებული ნათესავი ან ახლობელი სომხეთსა და აზერბაიჯანში.

გამოკითხული რესპოდენტების 70% აღნიშნავს რომ ეთნიკურად სომეხს ჰყავს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ნაცნობი ან მეგობარი ან პირიქით.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ მთანი ყარაბაღის კონფლიქტი მათ თანამოქალაქეებთან (სომეხი-აზერბაიჯანელი) ურთიერთობაზე არ ასახულა.

- *ომის დროს ჩემი მეუღლე სედა და ჩვენი მეზობელი ფატიმა ერთად ისხდნენ ტელევიზორთან და ნერვიულობდნე იმ ბავშვების ბედზე რომლებიც პოლიტიკოსებმა ომში ჩაითრიეს. ფატიმას ქმარისულეიმან ჩემი ბავშვობის მეგობარია და ჩვენი შვილებიც ერთ სკოლაში სწავლობენ და მეგობრობენ. ოქტომბერში ომის დროს აქ ჟურნალისტები იყვნენ და მაგათაც იგივე ვუთხარი, ომის და ჩხუბის მიუხედავად ჩვენ ურთიერთობას არაფერი გააფუჭებს. (რესპოდენტი - პირობითი სახელით სამველ)*

რაც შეეხება შერეულ ოჯახებს არსებობს მაგრამ იშვიათია, ეს ძირითადად რელიგიური ასპექტებით აიხსნება. უფრო ხშირია, ეთნიკურად სომეხი გოგონების გათხოვება ეთნიკურად აზერბაიჯანელ მამაკაცებზე ვიდრე პირიქით.

საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნის შემდეგ, მეზობლებთან არსებული ცუდი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, საქართველო გახდა ერთადერთი სატრანზიტო ქვეყანა სომხეთისთვის. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო გამშვები პუნქტი სადახლო, ასევე მთავარი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალი რომელიც სასიცოცხლო როლს ასრულებს სომხეთის სახელმწიფოსთვის.

სადახლოს გამშვები პუნქტი გახდა რეგიონის და კონკრეტულიად ამ ტერიტორიული არეალის ეკონომიკური ცენტრი, რომელიც იმეორებს ''არიზონა მარკეტის" ბუნებრივ ვარიანტს. 90-იანი წლებიდან 2004 წლამდე აქ მდებარეობდა კასუმლოსა და სადახლოს დიდი სავაჭრო ბაზრები, სადაც ეკონოკურ და სავაჭრო კავშირებს ამყარებდნენ ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები. აქ მიმდინარეობდა როგორც ქართული და სომხური ასევე

აზერბაიჯანული წარმოების პროდუქტეს მიმოცვლა. გარდა სახელმწიფო წარმოებული ტვირთებისა და საქონელისა აქ აქტიურად მიმდინარეობდა აგრარული ნაწარმის გაცვლა/გაყიდვა. ცნობილია რომ აქ სომხეთის მოქალაქეები, სომხეთის სახელმწიფოს დასახლებული პუნქტებიდან, მარნულის ტერიტორიაზე ყიდულობდნენ ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეებისაგან სურსათსა და ყოველდღიური მოხმარების საგნებს. მარნეულის მუნიციპოალიტეტში არსებულმა ამ ეკონომიკურმა ცენტრებმა და სავაჭრო კუთხით არსებულმა ეკონომიკურმა კეთილდღეობამ გამოიწვია ყოველდღიური შეხება ეთნიკურად სომეხ დას აზერბაიჯანელ მოქალაქეებს შორის. განაპირობა ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების უფრო მეტად დაახლობა, პირადი ეკოომიკური და სოციალური კეთილდღეობის ფონზე მათი ისტორიული კონფლიქტი მეორეხარისხოვანი გახდა.

- 96-ში (1996 წელი) ომი უკვე დამთავრებული იყო ყარაბაღში, სასომხეთში პროდუქტი მარტო რუსეთიდან მოდიოდა, ქასუმლოს ბაზარში, მქონდა საკუთარი მაღაზია სადაც ტკილეულობაზე ვვაჭრობდი. ყველაზე მეტი კლიენტი ბაგრატაშენიდან და ალავერდიდან მყავდა, მთელი ალავერდი და ახტალა ჩემი ტკბილეულობით მარაგდებოდა. გასაღების პრობლემა არ მქონია. პირიქით ,,პრაზნიკებზე'' პროდუქტი ვაგონებით იყიდებოდა. მიშას მოსვლის შემდეგ, სიტუაცია აირია და ვაჭრობაც უკან წავიდა. (რესპოდენტი - ფარიზი) .

მარნეულის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო ზოლის მიმდებარედ სამ სოფელში, კერძოდ, ცოფში, ნორგიულში და ხოჯორნში, აზერბაიჯანული და სომხური შერეული მოსახლეობა ერთად ცხოვრობს. ზემოთ აღნიშნულ სოფლებში, ორივე ეთნიკური ჯგუფი მშვიდობიანად თანაარსებობს. ორივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ფლობს სომხურ და აზერბაიჯანულ ენას. შერეული ქორწინება იშვიათია რაც განპირობებულია რელიგიური სხვადახვაობის გამო. მათ აქვთ როგორც საერთო ასევე თავიანთი ცალკეული თავშეყრის ადგილები (ე.წ. "ბირჟა"). აზერბაიჯანელთა ძველი თაობის წარმომადგენლებს სომხეთის საზღვართან სიახლოვეს (ბირმა, თაზაკენდი, კალინინო) დღემდე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ სომხეთის მოსახლეობასთან, კერძოდ სომხეთის მეზობელ სოფლების (ბაგრატაშენი, დებედავანი) მოსახლეობასთან, სადაც

საბჭოთა კავშირის პერიოდში აზერბაიჯანელ მეცხვარეებს საკუთარი საძოვრები ჰქონდათ.

მარნეულში არსებული სატრანზიტო მარშრუტები ასევე ამყარებს კონტაქტებს ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. სომეხი სატვირთოს მძღოლები ხშირად ყიდულობენ აზერბაიჯანული მაღაზიებიდან საქონელს.

2020 წლის ყარაბაღის მეორე ომი ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოულოდნელად დაიწყო. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის და სომხეთის ახალარჩეული პრემიერ-მინისტრის ნიკოლ ფაშინიანის შეხვედრის შემდეგ ადგილობრივ სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას ეგონა რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მშვიდობიანად დარეგულირდებოდა და სტატუს კვოს დაუბრუნდებოდა.

2020 წლის მთიანი ყარაბაღის ომის დასაწყისში მარნეულის აზერბაიჯანულმა თემმა სამშვიდობო აქციები ჩაატარა სადაც საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეები სოლიდარობას უცხადებდნენ აზერბაიჯანის სახელმწიფოს და სკანდირებდნენ ფრაზას „ყარაბაღი აზერბაიჯანია“. ზემოთხსენებულ გამოსვლებს ადგილობრივი სომხური თემი მშვიდად აკვირდებოდა და მათ შორის არანაირი დაპირისპირება არ მომხდარა.

ოქტომბრის ბოლოს მოხდა ერთი შემთხვევა როდესაც აზერბაიჯანელმა აზალგაზრდებმა სომხური სანომრე ნიშნით მმოძრავ ავტომობილს ქვები დაუშინეს ამის შედეგად საქმეში ჩაერია ძალოვანი სტრუქტურები სადაც ხულიგნობის მუხლით დაიწყო გამოძიება. ეს შემთხვევა იყო დაპირისპირების ერთადერი კონკრეტული პრეცენდენტი ყარაბაღის ომის პარალელურად რომელიც საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ მყისიერი რეაგირებით აღიკვეთა.

მშვიდობიანი თანაცხოვრების კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს ახალი თაობების კავშირი როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების კუთხით. მარნეულის სპორტული სექციების შემადგენლობაში ერთდროულად ვხვდებით ორივე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს. გვხვდება როგორც ერთიანი საფეხბურთო გუნდები ასევე საერთო სპორტული ჯგუფების გაერთიანება. სკოლებში ტარდება

ინტელექტურლური შეჯიბრებები სადაც მონაწილეობენ როგორც მხოლოდ სომხური და მხოლოდ აზერბაიჯანული სკოლების ასევე შერეული სკოლების წარმომადგენლები.

სახელმწიფოს ხელშეწყობით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგელებს უფინანსდებათ სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური. აქედან გამომდინარე მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალი ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი ახალგაზრდა განათლებას იღებს ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სადაც მათი კონტაქტები კიდევ უფრო ღრმავდება და ახლოვნება.

მარნეულის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონის ერთ-ერთ მრავალრიცხოვან რაიონს წარმოადგენს. საარჩევნო ქცევა ამ ტერიტორიულ ერთეულში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ რომ კონკრეტული რაიონის უმრავლესობას ეთნიკური აზერბაიჯანელები შეადგენენ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ჩატარებული ყველა არჩევნების დროს მმართველი თუ ოპოზიციური ძალა აზერბაიჯანული ელექტორატის პროცენტული უმრავლესობის გამო საპარლამენტო მაჟორიტარ კანდიდატად ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეს აყენებდა რითაც ცდილობდა ადგილობრივი მაცხევრებლებისთვის კომფორტის შეექმნა და ასევე მარტივად შეძლებოდა ხმების უმრავლესობის მოპოვება. ცესკოს არქივების მიხედვით ვგებულობთ რომ ეთნიკურად სომხური სოფლებიდან (საარჩევნო უბნები) ეთნიკურად სომხური მოსახლეობა არჩვენების დროს აქტიურად ერთვება საარჩევნო პროცესში და ძირითად შემთხვევაში მხარს უჭერს აზერბაიჯანელ კანდიდატს.

საველე კვლევის დროს ნაშრომის ავტორი იმყოფებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის სასაზღვრო ზოლთან ახლოს მდებარე აზერბაიჯანულ და სომხურ შერეულ სოფელ წოფში. სოფლის მოსახლეობის 73% ეთნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობაა ხოლო სომხები ამ სოფელში 25 % წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა რომ კონკრეტულად ამ სოფლის უმრავლესობას ეთნიკურად აზერბაიჯანელები წარმოადგენენ ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრის დროს გაირკვა რომ ადგილობრივი ხელისუფლების წაემომადგენელი ეთნიკურად სომეხი ს.კ. არჩევნების შედეგად იქნა არჩეული სრული მოსახლეობის ხმების 84 % -ით.რაც კიდევ ერთხელ კარგად მიუთითებს რომ ადგილობრივ მოსახლეობაში არ არსებობს უარყოფითი

განწყობები მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შორის.

მარნეულის მუნიციპალიტეტი არის მნიშვნელოვანი რეგიონი სადაც მოსახლეობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული კულტურულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად. მარნეულის რაიონი ესაზღვრება როგორც სომხეთის ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკებს. აქ გადის სომხეთთან დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალი და ასევე მდებარეობს სადახლოს სასაზღვრო გამშვები პუნქტი. გარდა იმისა რომ ადგილობრივი ეთნიკური მოსახლეობა მშვიდობიანად თანაცხოვრობს ისინი დაკავშირებულნი არიან ეკონომიკური ინტერესებით. მიუხედავად განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა ადგილობრივი სომხური და აზერბაიჯანული მოსახეობა სრულიად ლოგიკურად თავს თვლის საქართველოს სრულუფლებიან, სრულფასოვან მოქალაქედ.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს, საკვლევ თემას წარმოადგენდა მთიანი ყარაბაღის ომი და მისი გავლენა საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულებაზე მარნეულის მუნიციპალიტეტში. კვლევის დროს წამოჭრილი პირველი საკვლევი კითხვის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია, თამამად ვთქვათ რომ მთიანი ყარაბაღის პირველი და მეორე ომები ასევე შუალედურ პერიოდში არსებული მცირემასშტაბიანი შეტაკებები არ არის ზედაპირული ხასიათის კონფლიქტი, აღნიშნული კონფლიქტის ფესვები ისტორიის სიღრმეებში უნდა ვეძიოთ.

კონფლიქტი ყარაბაღის რეგიონში, წარმოადგენს რუსეთის და შემდგომ საბჭოთა იმპერიის ნელი მოქმედების ნაღმს.მასალათა გამოკვლევის საფუძველზე და ასევე ნარატიულ წყაროებში თვალნათლივ ვხედავთ ომის იმ სისასტიკეს რომელიც გადაიტანეს და რომელსაც დღემდე განიცდიან კონფლიქტში ჩართული მხარეები, მებრძოლები, მათი ოჯახის წევრები და განსაკუთრებით მშვიდობიანი მოსახლეობა. კონფლიქტმა შეიწირა ათასობით ადამიანი და საერთაშორისო ჩართულობის მიუხედავად მას ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს.

თემის მეორე საკვლევი კითხვას წარმოადგენს, თუ რა ვითარება არის მარნეულის რეგიონში მთიანი ყარაბაღის ომის ფონზე. მოგეხსენებათ რომ, მარნეული, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მდებარეობს როგორც სომხეთის ასევე აზერბაიჯანის რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვის სიახლოვეს საქართველოს ტერიტორიაზე. მარნეული არის ეთნიკურად ჭრელი ადმინისტრაციული

მუნიციპალიეტი და კვლევის საფუძველზე დასტურდება რომ აქ მცხორებ ორ მეზობელ ერს რომლებიც ერთმანეთსებრძვიან მთიან ყარაბაღში ნამდვილად შეუძლიათ მშიდობიანი, მეგობრული და კეთილმეზობლური თანაცხოვრება. რაც განპირობებულია არაერთი, არამედ რამდენიმე კომპლექსური გარემოებით, რომელთა შესახებაც კვლევაში ვისაუბრეთ. აღნიშნული გარემოებებია: ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრება, ყოველდღიური კონტაქტები ბავშვობის ასაკიდან ღრმა მოხუცებულობამდე, საერთო ეკონომიკური და საყოფაცხოვრებოინტერესები. ყველაზე მნიშვნელოვან და ობიექტურ გარემოებას წარმოადგენს მათი საცხოვრებელი არეალი, როგორც ავღნიშნეთ მარნეულის ადმინისტრაციული ერთეული მდებარობს სამი ქვეყნის საზღვრის მიმდებარედ და წარმოადგენს ეკონომიკურ ჰაბს სრულიად რეგიონისთვის.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარნეულმა, ორმოწინააღმდეგე ჯგუფს შორის ითამაშა დაახლოებით იგივე როლი რაც არიზონა მარკეტმა ბოსნიაში. იმ განსხვავებით რომ აქ ყველაფერი ბუნებრივად მოხდა. ასევე უმნიშვნელოვანესი გარემოებაა, ათწლეულების მანძილზე, საქართველოს ხელისუფლების საკმოდ სწორი პოლიტიკა რომელშიც არ ხდებოდა გარჩევადობა ეთნიკურობის მიხედვით. როდესაც ვხედავთ რომ აზერბაიჯანისა დ სომხეთის მოქალაქეებს შორის არსებობს აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება ხოლო საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოქალაქეებს შორის იგივე დამოკიდებულება არ იგრძნობა, კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას რათქმაუნდა შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ეთნიკურობა, მაგრამ ფიქრობენ და აზროვნებენ როგორც საქართველოს ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები და სწორედ საქართველოს მოქალაქის თვალით უყურებენ აღნიშნულ კონფლიქტს მთიან ყარაბაღში.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ ის ფაქტი რომ განსხვავებით სომხეთის რესპუბლიკის და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთაგან, საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრობს ზემოთხსენებულ მარნეულის მუნიციპალიტეტში და ამის მიზეზებია ის რომ ეს ადამიანები თავს გრძნობენ საქართველოს განუყრელ

ნაწილად, მათ აქვთ საერთო ეკონომიკური, სოციალური, საყოფაცხოვრებო ინტერესებიდა საერთო ღირებულებები.

ბიბლიოგრაფია

- Abasov, A. & Khachatrian, H. (2006). The Karabakh Conflict Variants of settlement:Concepts and reality. Third edition. Areat Noyan Tapan. ხელმისაწვდომია: https://www.ca-c.org/dataeng/books/book-1/Abaso_Khachatrian.pdf [ბოლოს ნანახია: 20.06.2021].
- A. Kvakhadze (2021). Georgia's Fertile Crescent:Marneuli Municipality ხელმისაწვდომია: https://www.gfsis.org/publications/view/2921?fbclid=IwAR3HjpKO6duvm-yYDZ4oRy_D0fw9mrdMlb46BEcBvnLDZbdEL6xqz9de7YY [ბოლოს ნანახია: 30.06.2021].
- Angéle Karanian, E. (2006). Roots & Routes, The Origin and Development of DiasporanArmenian Collective Memory. ხელმისაწვდომია: https://dspace.fandm.edu/bitstream/handle/11016/770/Karanian.pdf?sequence=5 [ბოლოს ნანახია: 30.06.2021].
- BBC. Armenia pulls out of Azerbaijan-hosted Eurovision show. (2012, March 07). ხელმისაწვდომია: http://www.bbc.com/news/world-europe-17292360 [ბოლოს ნანახია:30.06.2021].
- Garagozov, R. (2005b). Collective Memory and Memory Politics in the Central CaucasianCountries. Central Asia and Caucasus, No. 36(2005).

- Garagozov, R. (2006). Collective Memory in Ethnopolitical conflicts: The case of NagornoKarabakh. Central Asia and the Caucasus, No.41 (2006).
- Garagozov, R. (2015). Painful Collective Memory: Measuring Collective Memory Affect inthe Karabakh Conflict. Peace and Conflict: Journal of Peace Psychology. 1-8.

  ხელმისაწვდომია:
  http://sam.az/uploads/PDF/Painful%20collective%20memory%20Measuring%20collective%20memory%20affect%20in%20the%20Karabakh%20conflict.pdf
  [ბოლოს ნანახია: 30.06.2021].
- Gedi, N., & Elam, Y. (1996). Collective Memory — What Is It? History and Memory, 8(1),30-50.
  ხელმისაწვდომია:
  http://www.jstor.org/stable/25618696
  [ბოლოს ნანახია:30.06.2021]
- Hakoköngäs, E. (2017). Visual Collective Memory a Social Representation Approach.University of Helsinki.
  ხელმისაწვდომია:
  https://helda.helsinki.fi/bitstream/handle/10138/197450/VISUALCO.pdf?sequence=1
  [ბოლოს ნანახია: 30.06.2021].
- National Security Concept of the Republic of Azerbaijan. (2007). ხელმისაწვდომია:
  https://www.files.ethz.ch/isn/154917/Azerbaijan2007.pdf
  [ბოლოს ნანახია: 30.06.2021]
- National Security Strategy of the Republic of Armenia. (2020).
  ხელმისაწვდომია:
  https://drive.google.com/file/d/1J-IsxkqsWOJ8YhmKTnizWtu6-vKadGXe/view

[ბოლოს ნანახია: 30.06.2021].

- სანდრო სამადბეგიშვილი (2020). მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შუალედური დასასრული, როგორც საეტაპო მოვლენა კავკასიის რეგიონისთვის.
  ხელმისაწვდომია:
  https://www.geocase.ge/ka/publications/305/mtiani-yarabaghis-konfliqtis-shualeduri-dasasruli-rogorc-saetapo-movlena-kavkasiis-regionistvis
  [ბოლოს ნანახია: 30.06.2021].
- სიღრმისეული ინტერვიუ - მკვლევარი ალექსანდრე კვახაძე „Rondeli Foundation (Georgian Foundation for Strategic and International Studies)
- სიღრმისეული ინტერვიუ - ,,საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის'' ექსპერტი გელა ვასაძე
- 20 პირადი ინტერვიუ (10 ეროვნებით სომეხ საქართველოს მოქალაქესთან, 10 ეროვნებით აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქესთნ)
- 50 ანკეტა კითხვარი, (25 კითხვარი ეროვნებით სომეხ საქართველოს მოქალაქესთან, 25 კითხვარი ეროვნებით აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქესთან)
- შტეფან მაისტერი (2020). არასტაბილური მშვიდობა - მთიანი ყარაბაღი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ
  ხელმისაწვდომია:
  https://ge.boell.org/index.php/ka/2020/11/24/arastabiluri-mshvidoba-mtiani-qarabaghi-tsetskhlis-shecqvetis-shesakheb-shetankhmebis
  [ბოლოს ნანახია: 30.06.2021].
- კოლექტიური მეხსიერება. (2020).

  ხელმისაწვდომია:

  https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

[ბოლოს ნანახია: 30.06.2021].

- გიორგი ანთაძე (2020). ყარაბაღის ომის გეოპოლიტიკური შუქ-ჩრდილები. ხელმისაწვდომია: https://www.geocase.ge/ka/publications/294/yarabaghis-omis-geopolitikuri-shuq-chrdilebi [ბოლოს ნანახია: 30.06.2021].
- მარუაშვილი ლ. (1964). საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (საქართველოს სსრ ბუნებრივი პირობების ზოგადი დახასიათება და რეგიონული აღწერილობა). თბილისი, საქ.: ცოდნა, გვ. 264-266

Giorgi Danelia

The Impact of the Nagorno-Karabakh Conflict on the Relations between Ethnic Minorities in Georgia (Marneuli Municipality)

Master's thesis is submitted for obtaining the Master's Degree in Conflict Analysis

and Management

Head of the topic: Vakhtang Maisaia

Associate Professor

Tbilisi 2021